

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჯემალ გიგოლაშვილი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შედარებით სამართლებრივი ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი იმერლიშვილი

ასოცირებული პროფესორი

გორი

2019

## ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შედარებით სამართლებრივი ანალიზი

### ანოტაცია

აღნიშნული ნაშრომის „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შედარებით სამართლებრივი ანალიზის“ მიზანია, გამოვყო ის პრობლემატური საკითხები, რაც საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დგას. ვისაუბრო მისი გადაჭრის გზებზე და მეთოდებზე. იმისათვის, რომ უკეთ გამოვკვეთო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელის ხარვეზები, პარალელურად გავავლებ და ქართულ მოდელს შევადარებ საზღვარგარეთის ქვეყნების, კერძოდ, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოდელს.

ნაშრომში საუბარი იქნება იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ზემოხსენებულ ქვეყნებში. ასევე გამოვკვეთავ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, თუ რა იწვევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმის განხილვის გაჭიანურებას, რა არის საქმის გაჭიანურების რეალური მიზეზი. აგრეთვე შევეხები ნულიფიკაციის პრობლემას, რომელიც ძალიან აქტუალურია. ვისაუბრებ იმაზე, თუ რა არის ამ პრობლემების გამომწვევი რეალური მიზეზები და შევეცდები დაგანახოთ ის საშუალებები, რომლებითაც შეიძლება თავიდან იქნეს არიდებული აღნიშნული პრობლემები.

J.Gigolashvili

## Comparative legal analysis of Jury trial

### Annotation

The aim of this paper „Comparative legal analysis of Jury trial” is to identify the problematic issues which are facing the Jury trial of Georgia, to talk about the ways of solving it and methods. In order to show you better the gaps of Georgian model of Jury trial, I make parallels and compare the Georgian model to the Jury trial model of foreign countries, namely England and the United States of America.

The paper will focus on how the case is discussed by Jury trial in the above mentioned countries. I will also reveal such important issues, what causes to prolong the consideration of the case of Jury trial, what is the real reason for delaying the case? I will also touch the problem of nullification, which is very relevant. I will talk about the real reasons that cause this problem and I will try to show you the ways in which these problems can be avoided.

## სარჩევი

შესავალი.....	7
<b>პირველი თავი.....</b>	<b>8</b>
ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული მიმოხილვა.....	8
1.1 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობის ისტორია.....	8
1.2 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული მიმოხილვა საქართველოში.....	11
1.3 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული მიმოხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში.....	17
1.4 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული მიმოხილვა ინგლისში.....	23
<b>მეორე თავი.....</b>	<b>26</b>
2.1 ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა საქართველოში.....	26
2.2 ნაფიც მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა.....	26
2.3 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შერჩევის სხდომა.....	30
2.4 ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, აცილება და თვითაცილება.....	31
2.5 კანდიდატის დანიშვნა ნაფიც მსაჯულად.....	34
2.6 ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.....	34
2.7 სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი...	35
2.8 ნაფიც მსაჯულის შეცვლა სათადარიგო მსაჯულით.....	37
2.9 ნაფიც მსაჯულთა (სათადარიგო მსაჯულთა, მსაჯულობის კანდიდატთა) ოვალეობანი.....	38
2.10 ბრალდებულის ნასამართლეობა.....	40
2.11 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირი.....	40
2.12 ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი.....	42

2.13 ვერდიქტის ფორმა.....	44
2.14 ვერდიქტის გამოცხადება.....	44
2.15 სასჯელის დანიშვნის სხდომა.....	45
2.16 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი.....	46
2.17 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება.....	47
<b>მესამე თავი.....</b>	<b>50</b>
ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა საზღვარგარეთის ქვეყნებში.....	50
3.1.1 ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში.....	50
3.1.2 ნაფიც მსაჯულობის კანდიდატთა საერთო სიების შედგენის წესები.....	51
3.1.3 ნაფიც მსაჯულთა დიდი და მცირე ჟიური.....	54
3.1.4 ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის დაკისრება და მსაჯულთა ორიენტირება.....	55
3.1.5 სისხლის სამართლის საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში.....	56
3.1.6 მხარეთა დასკვნითი სიტყვები.....	57
3.1.7 ნაფიცი მსაჯულებისათვის განმარტებების მიცემა.....	57
3.1.8 ნაფიც მსაჯულთა თათბირი.....	58
3.1.9 ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი და ნულიფიკაცია.....	59
3.1.10 შუამდგომლობა მსჯავრდებულის გამართლებასთან დაკავშირებით.....	61
3.1.11 სასჯელის დანიშვნის სხდომა.....	61
3.1.12 აპელაცია.....	63
3.1.13 ნაფიც მსაჯულთა პროცესის საჯარო გაშუქება.....	63
ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა ინგლისში.....	65
3.2.1 ნაფიც მსაჯულთა შერჩევა.....	65
3.2.2 ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის განხილვის ვადები.....	66
3.2.3 მტკიცებულება და ნაფიც მსაჯულთათვის მიცემული ინსტრუქციები.....	67

3.2.4 ფიცის დადება.....	68
3.2.5 რა ეკრძალებათ ნაფიც მსაჯულებს.....	68
3.2.6 ნაფიც მსაჯულთა თათბირი.....	69
3.2.7 ვერდიქტი.....	69
3.2.8 განაჩენის დადგენა, გასაჩივრება და გადასინჯვა.....	70
3.2.9 კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი „ვერდიქტები“ და „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაცია.....	71
3.2.10 ნაფიცი მსაჯულები და პროცესის საჯარო გაშუქება.....	71
დასკვნა .....	71
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა .....	74

„მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც ახარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ გაწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზე დაყენებული”.

ილია ჭავჭავაძე

### შესავალი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დღეის მდგომარეობით საერთო სასამართლოების ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური სამართალწარმოების მოდელია. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მრავალი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს, მათ შორის საქართველოშიც. ვინაიდან საქართველოში 2010 წლიდან დაინერგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი, აქედან გამომდინარე გადავწყვიტე, ჩემი სამაგისტრო თემის არჩევაც. მსურს საფუძვლიანად და დეტალურად შევისწავლო და გამოვყო ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახლავს.

თემა მეტად აქტუალური და საინტერესოა, მიმაჩნია, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარებით, ამაღლდება საზოგადოების თვითშეგნება და სამართლებრივი დონე, ეს ინსტიტუტი დემოკრატიულია, მას შემოაქვს საღი აზრი ქართულ სისხლისსამართლებრივ სისტემაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხანგრძლივი ისტორია აქვს, ამიტომ საწყის ეტაპზე ვისაუბრებ ამ უაღრესად საინტერესო ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების შესახებ, ასევე განხილული იქნება კონკრეტული ქვეყნების: საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ნაფიც მსაჯულთა მოკლე ისტორიული მიმოხილვა, შემდეგ კი შევეცდები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელი შევადარო ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოდელებს, ვინაიდან

სწორედ ამ ქვეყნებში მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი ყველაზე სრულყოფილად და ეფექტურად.

აღნიშნულ ქვეყნებთან შედარების შემდეგ გამოვყოფ იმ განმასხვავებელ და საერთო ნიშნებს, რომლებიც ქართულ და საზღვარგარეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტებს ახასიათებს. აქედან გამომდინარე კი, ვისაუბრებ ისეთ პრობლემატურ და აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ქართულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დგას.

## პირველი თავი

### ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული მიმოხილვა

#### 1.1 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობის ისტორია

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინამორბედ სამართლებრივ ინსტიტუტებს სახელმწიფოების წარმოშობის ადრეულ ეტაპებზე ვხვდებით.

ათენის მუზეუმში დაცულია ჩვ.წ. IV საუკუნით დათარიღებული მსაჯულის ვინაობის დამადასტურებელი ბრინჯაოს ფირფიტა, რომელზეც მითითებულია მფლობელის ვინაობა (დემოფანესი), მამის სახელი (ფილიპე) და ოლქი (კეფესია). ძველ ათენში არსებული ჰელიესტა სასამართლო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უძველეს წინამორბედად მიიჩნევა. ჰელიესტა ექვსი ათასი წევრისგან შედგებოდა და 10 სასამართლო საბჭოს (დიკასტერია) მოიცავდა. ნებისმიერ მოქალაქეს, 30 წლიდან, შეეძლო გამხდარიყო მსაჯული. სასამართლო პროცესი იყო ღია და გამჭვირვალე. მსაჯულების მიერ გამოტანილი ვერდიქტი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. დიკასტების შეხვედრა ღია ცის ქვეშ, მზეზე იმართებოდა. სახელი „ჰელიესტა“ სწორედ აქედან მომდინარეობს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები გარკვეული სახით ანტიკურ ეპოქაშიც არსებობდა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორია საფრანგეთში იწყება. მიუხედავად ამისა,



მეცნიერთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამშობლო ინგლისია, რადგან სწორედ აქ, მე-11 საუკუნეში ჩამოყალიბდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კლასიკური სახით.<sup>1</sup>

ბრიტანული წყაროები ძირითადად ემხრობა მოსაზრებას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოტანილ იქნა 1066 წელს ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ. ნორმანები ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ ფიცის ქვეშ ეთქვათ სიმართლე (Jury ლათინური jurare-დან მოდის, რაც დაფიცებას ნიშნავს). მაგრამ არსებობს სხვა ვერსიაც: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – სწორედ ცხოვრების ინგლისური ყაიდის გავლენით – ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში, ინგლისის მეფის ალფრედ დიდის ზეობისას ჩამოყალიბდა. პირველი დოკუმენტური დასაბუთება ნაფიცთა სასამართლოს არსებობისა ინგლისის მეფის ჰენრი მეთორის (1166) ორდონანსებია. მისი ოფიციალური აღიარება კი 1215 წელს მოხდა, როცა მეფე ჯონმა ხელი მოაწერა „მაგნა კარტას“ (Magna Carta) რომელიც მოქალაქეებს მათი საქმეების „თანამოქალაქეთა მიერ“ განხილვის უფლებას აძლევდა.

„მაგნა კარტა“ შეიქმნა რომის პაპს, მეფე ჯონსა და მის ინგლისელ ბარონთა შორის მეფის უფლებების შესახებ უთანხმოების გამო. ქარტიის თანახმად მეფეს გარკვეული უფლებები უნდა დაეთმო, დამორჩილებოდა სამართლებრივ პროცედურებს და ეღიარებინა, რომ მეფეც შეზღუდული იყო კანონით.

თავიდან მსაჯულები დანაშაულის მოწმეები იყვნენ ( ჩვეულებრივ, მეზობლები) და მათ ინფორმაციის წყაროდ იყენებდნენ. მოგვიანებით მსაჯულებს უკვე სისხლის და სამოქალაქო საქმეების გადასაწყვეტად იწვევდნენ. მე-15 საუკუნიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი ფორმა გახდა. მსაჯულებად დაიწყეს გარეშე პირების მოწვევა, რომელთაც გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლოში მიცემული ჩვენების საფუძველზე უნდა მიეღოთ.

---

<sup>1</sup> იხ. ჯიქია მ., ნადირაშვილი თ., ხურციძე დ., გელაშვილი მ., მადრაძე თ., ქურასბედიანი თ., ვაშალომიძე რ., კვიციანი ლ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიუტი (თავისებურებანი და პრობლემები), გამომც: „უნივერსალი“, თბ. 2017, გვ. 5-6

მე-18 მე-19 საუკუნეებში ინგლისის გავლენით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფართოდ გავრცელდა არამართო ბრიტანული ორბიტის ქვეყნებში, არამედ კონტინენტურ ევროპაშიც: საფრანგეთში, ავსტრო-უნგრეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, რუსეთში, გერმანიაში. მოგვიანებით კი ის ამა თუ იმ ფორმით შემოღებულ იქნა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. მაგრამ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან უკუპროცესი აღინიშნა: ამ ქვეყნების დიდმა ნაწილმა უარი თქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ბრიტანულ მოდელზე და უპირატესობა ე.წ. შერეულ მოდელს მიანიჭა, რომელშიც საქმეს ერთად იხილავენ მსაჯულები და მოსამართლე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კლასიკურ (ბრიტანულ) მოდელში ფუნქციები მკაცრადაა დანაწილებული მოსამართლეებსა და მსაჯულებს შორის: პირის ბრალეულობის საკითხს წყვეტენ ნაფიცი მსაჯულები, ხოლო მოსამართლე პროცესუალურ საკითხებს წყვეტს და სასჯელს უფარდებს. ეს მოდელი საერთო სამართლის (common law) სასამართლოს სახელითაცაა ცნობილი. საერთო სამართალს უწოდებენ როგორც კანონთა ერთობლიობას, ასევე მართლმსაჯულების სისტემის სახეს, რომელიც ემყარება გარკვეული საქმის განხილვის შედეგად მსაჯულთა (სასამართლო ორგანოთა) გადაწყვეტილებას და არა კანონებს ან აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს: შესაბამისი კანონის არარსებობის ან მისი ნორმების არასაკმარისი მკაფიოობის შემთხვევაში, მსაჯულებს აქვთ უფლება (და მოვალეობაც) მიიღონ საჭირო კანონი პრეცედენტის შექმნით.

რაც შეეხება შერეულ მოდელს (mixed court), ამ შემთხვევაში მოსამართლე და მსაჯული ერთობლივად წყვეტენ როგორც მსჯავრის, ასევე სასჯელის საკითხს. (მაგ.: დღევანდელ საფრანგეთში სამი პროფესიონალი მოსამართლე და ცხრა მსაჯული ერთად იხილავს როგორც ფაქტის, ასევე სამართლის საკითხებს. იტალიაში – 2 პროფესიონალი მოსამართლე და 6 მსაჯული, გერმანიაში ერთი მოსამართლე და 2 მსაჯული, ან ორი მოსამართლე და ორი მსაჯული).

ზოგადად, საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სისტემამ გარკვეული რეგრესი განიცადა ისეთ ქვეყნებშიც კი როგორც ირლანდია და მისი სამშობლო ინგლისია. ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციების შეკვეცის ხარჯზე

უფლებამოსილება ეზრდებათ მაგისტრატა (რომლებიც ასევე არაპროფესიონალები არიან) სასამართლოებს. საერთო სამართლის სისტემა მყარად ინარჩუნებს პოზიციებს აშშ-ში, კანადაში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში. მეოცე საუკუნის ბოლოს ნაფიც მსაჯულთა სისტემა (საერთო სამართლის ტიპისა) აღადგინეს ესპანეთმა და რუსეთმა. დღეისათვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყველაზე გავრცელებულია აშშ-ში: იქ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეობით ყოველწლიურად 150 000-ზე მეტი პროცესი ტარდება, რაც, დაახლოებით, მთელ მსოფლიოში ჩატარებული მსგავსი პროცესების 90%-ია.

აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ნებისმიერი საქმე შეიძლება განიხილოს, თუ ამას მოსარჩელე ან მოპასუხე მოითხოვს. უფრო მეტიც, აშშ უზენაესი სასამართლოს 1968 წლის გადაწყვეტილებით, თუ ბრალდებულს 6 თვეზე მეტი ხნით საპყრობილე ემუქრება, მისი კონსტიტუციური უფლებაა, მოითხოვოს ნებისმიერი სამოქალაქო ან სისხლის სამართლებრივი საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვა.<sup>2</sup>

## 1.2 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული მიმოხილვა საქართველოში

მე-11 საუკუნემდე ქართულ სამართალში „მოსამართლის“ ცნებას აღნიშნავდნენ ტერმინებით - „მსაჯული“, „ბჭე“. ტერმინი „მოსამართლე“, ქართველ მეცნიერთა მოსაზრებით, აღნიშნავდა როგორც სასამართლო ფუნქციების მქონე სახელისუფლებო მოხელეს, რომელსაც სპეციალურად დავალებული ჰქონდა სადავო საქმეების განხილვა, ისე – სხვა პირსაც, რომელიც, როგორც მოდავე მხარის მიერ არჩეული პირი, მხოლოდ ამ კონკრეტული საქმის განხილვის დროს ასრულებდა მოსამართლის ფუნქციას სხვა პირებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი იყო სამართალწარმოების ისეთი სახე, როგორიც იყო „რჯული“, ანუ 4-დან 12-მდე კაცისაგან – რჩეული პირებისაგან (ძირითადად უხუცესები, მაგრამ პირადი ღირსების გამო შესაძლებელი იყო ახალგაზრდებიც შეეყვანათ) – შემდგარი სასამართლო. საგულისხმოა, რომ ამ სასამართლოს წევრებს მსაჯულებს უწოდებდნენ. ისინი ძველი

<sup>2</sup> იხ. [http://www.library.court.ge/upload/nafic\\_msajulTa\\_sasamarTlo.pdf](http://www.library.court.ge/upload/nafic_msajulTa_sasamarTlo.pdf) (ნანხია 20.04.2019 წ.), გვ. 1-3

ადათ-ჩვევების მიხედვით იხილავდნენ მოსისხლეთა შერიგების, ქურდობის, განქორწინებისა და სხვა მსგავს საქმეებს.

რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში ეს ტრადიცია შეიცვალა მომრიგებელი მოსამართლის რუსული მოდელის დანერგვით. მეფის რუსეთის მმართველებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს მოსახლეობა თავისი სამართლებრივი განვითარების დონით არ იყო მზად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის. ილია ჭავჭავაძეს, რომელიც გარკვეული დროით მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა დუშეთის მაზრაში, იმედი ჰქონდა, რომ ნაფიცი მსაჯულების სასამართლო საქართველოშიც ამოქმედდებოდა, მაგრამ მეფის რუსეთის მმართველობის პერიოდში საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების იმედს ასრულება არ ეწერა.

მოგვიანებით, 1919 წლის 17 იანვარს, საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ. ამ კანონის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები 12 კაცის შემადგენლობით ტრადიციისამებრ, მოსამართლისგან დამოუკიდებლად, წყვეტდნენ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა-არცნობის საკითხს. ნაფიც მსაჯულად აირჩეოდა 25 წელს მიღწეული პირი, რომელიც იყო საქართველოს მოქალაქე, ფლობდა სახელმწიფო ენას და არანაკლებ ერთი წელი ცხოვრობდა საქართველოში. ნაფიც მსაჯულად ყოფნა არ შეეძლო იმას, ვინც ადრე ნასამართლევი იყო, სასამართლოს განაჩენით დათხოვნილი იყო სამსახურიდან, ასევე გადამხდელუუნარო, ანდა ფიზიკურად უუნარო ადამიანებს. ნაფიც მსაჯულთა სიაში, რომელიც თითოეულ მაზრაში ცალკეულად დგებოდა, არ შეიძლებოდა შეეყვანათ სამღვდელოების წარმომადგენელი, სასამართლოს თანამშრომელი, პროკურატურის მუშაკი, სახელმწიფო ბანკის ხაზინადარი და მოლარე, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზის უფროსები, სამხედრო და საზღვაო უწყების ცალკეული თანამშრომლები, საკარანტინო დაწესებულებათა მოხელენი, გუბერნიის, მაზრისა და სოფლის კომისარი და მისი თანაშემწე, მილიციის მოხელე. საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში ნაფიცი მსაჯულები

შეიცვალნენ სახალხო მსაჯულებით, რომლებიც ფორმალურად განასახიერებდნენ მსაჯულის ფუნქციას სასამართლოში.<sup>3</sup>

2010 წლის ოქტომბრიდან საქართველოში ამოქმედდება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოვაციაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნა. ჩვენს საზოგადოებაში უდიდესი ინტერესს იწვევს ეს ცვლილება და ბუნებრივია, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი ინფორმაცია საყურადღებოა. თუ, დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნეს ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა, აგრეთვე, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავს მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.<sup>4</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და წესს კი ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ არის მუდმივმოქმედი. ნაფიცი მსაჯულები იკრიბებიან პერიოდულად და განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციით, როდესაც წარდგენილი ბრალიდან გამომდინარე, საქმე მათი განსჯადია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მოიცავს იმ ჩამონათვალს, თუ რა შემთხვევაში განიხილავს საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. უპირველესად, ეს გახლავთ თავად ბრალდებულის უფლება, გააკეთოს არჩევანი საერთო სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შორის. ნაფიც მსაჯულთა

---

<sup>3</sup> იხ. რედ. მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, თბ. 2012, გვ. 16-17

<sup>4</sup> იხ. რედ. მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, თბ. 2012, გვ. 78-79

სასამართლო საქმეს არსებითად განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის სურვილს გამოთქვამს თავად ბრალდებული. პროკურორი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვა და არც სასამართლოა უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით დაადგინოს, რომ საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. მეორე და აუცილებელი გარემოება, რომ საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, არის ის, რომ ბრალად წარდგენილი ქმედება სასჯელის სახით ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას. მაგალითად, თუ პირს ბრალად აქვს წარდგენილი საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (ცემა), ის ვერ მოითხოვს მისი საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვას, რამდენადაც აღნიშნული ქმედებისთვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. მართალია, სსსკ-ის 226-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, თუ რა შემთხვევაში ხდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, თუმცა მოცემულ ეტაპზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმეებს განიხილავს სსსკ-ის 330-ე მუხლის საფუძველზე, რომლითაც განსაზღვრულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროებითი განსჯადობა. კერძოდ, 2016 წლის 1 ოქტომბრამდე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით განიხილავდნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს. აღნიშნული სასამართლოები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილავდნენ, აგრეთვე, საქმეებს დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედებოდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილავს, ასევე, მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე-114-ე მუხლებით (მკვლელობები, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში) გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებს). ზემოაღნიშნული სასამართლოები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილავდნენ, ასევე, იმ პირთა საქმეებს, რომელთაც დანაშაულთა ერთობლიობისას ბრალი ედებოდა

ზემოთ მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში მოქმედებდა და ისიც თავდაპირველად, 2011 წლის 1 ოქტომბრამდე, მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დამთავრებულ დანაშაულთა საქმეებს განიხილავდა. შემდგომ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან უკვე ქუთაისის საქალაქო სასამართლოშიც ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებს განიხილავდა მათ შორის, დანაშაულთა ერთობლიობით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა განსაჯადი საქმეების წრე უფრო ფართოა, ვიდრე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 18 იანვარს განხორციელებული ცვლილების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას დაემატა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი გახდა, ასევე, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში მითითებული თანამდებობის პირების და მათთან ერთად დანაშაულის ჩამდენ პირთა საქმეები, თუმცა 2015 წლის 19 თებერვალს განხორციელებული ცვლილებით აღნიშნული დამატება ამოღებულ იქნა.<sup>5</sup>

დღეის მდგომარეობით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმეს განიხილავს, თუ წარდგენილია ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (დამთავრებული) და 109-ე (დამთავრებული) მუხლებით, 117-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ნაწილებით, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 135<sup>1</sup> მუხლით, 143-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, 144-ე და 144<sup>2</sup> მუხლებით, 144<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 146-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 147-ე და 149-ე მუხლებით, 197-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 229-ე მუხლით.<sup>6</sup>

<sup>5</sup> იხ. დადგენილია გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 670-671

<sup>6</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2019, გვ. 202

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფორმირებაში აქტიურ როლს ასრულებენ თავად მხარეები და მოსამართლე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლის როლი მსაჯულთა შერჩევის პროცესში აცილებების შესახებ შუამდგომლობების განხილვისას, მათ შორის, დაუსაბუთებელი აცილების საკითხის განხილვისას, რათა არ მოხდეს მსაჯულობის კანდიდატის დისკრიმინაცია. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ ამ შემადგენლობით უზრუნველყოფილი იყოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. ნაფიცი მსაჯული მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული გარე ფაქტორების ზემოქმედებისგან. ნაფიც მსაჯულთა დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს ის გარემოება, რომ ისინი არავის წინაშე პასუხს არ აგებენ და აბსოლუტურად დამოუკიდებელნი არიან გადაწყვეტილების მიღებისას. მნიშვნელოვანია, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, მათ, მოსამართლისგან განსხვავებით, არ მოეთხოვებათ მათ მიერ მიღებული ვერდიქტის დასაბუთება და გადაწყვეტილებას უმეტესად შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებენ. ნაფიცი მსაჯული თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პირადი ინტერესისგან, ეს იქნება ანგარება, ნაცნობ-მეგობრობა, ავტორიტეტთა გავლენა თუ რაიმე სხვა გარემოება. პირის მიუკერძოებლობა პირდაპირ კავშირშია მის კეთილსინდისიერებასთან, რათა გამოირიცხოს მისი მოსყიდვის ალბათობა. სწორედ თითოეული ნაფიცი მსაჯულის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა უზრუნველყოფს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, რაც არის ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს გარანტი.

სისხლის სამართლის პროცესი, ასევე, ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანას ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში, თუ შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა მასმედიით მისი ინტენსიური გაშუქების ან საქმისადმი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით. აღნიშნული გადაწყვეტილების



მიღების უფლებამოსილებას კანონმდებელი ანიჭებს საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს), საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით.<sup>7</sup>

### 1.3 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული მიმოხილვა

#### ამერიკის შეერთებულ შტატებში

ინგლისური ზეგავლენით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გავრცელდა ინგლისის ყოფილ კოლონიებსა თუ სხვა ქვეყნებში, რომლებიც ადრე ინგლისურ ზეგავლენას განიცდიდნენ და შემდეგ „საერთო სამართლის“ სისტემას შეუერთდნენ. ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები, ირლანდია, ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა ხელი შეუწყო ამერიკელთა შორის სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის განმტკიცებას. თუმცა ამ ინსტიტუტის დანერგვა და შემდგომი ფუნქციონირება ინგლისის ბატონობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოსათვის სულაც არ იყო ადვილი და უმტკივნეულო. თომას ჯეფერსონის თქმით, ბრიტანეთი ხშირად უცერემონიოდ ახორციელებდა დაუშვებელ, უკანონო ზემოქმედებას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ნიველირების მიზნით, მათ შორის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიდ ბრიტანეთსათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად. ამგვარი ზეწოლა ხშირად უკურეაქციას იწვევს, რაც გამოჩნდა კიდევ 1734 წელს ჟურნალისტ ჯონ პიტერ ზენგერის საქმის განხილვისას. მას ბრიტანეთის სამეფო ტახტის სახელით ბრალად ედებოდა ყველასგან მოძულებული მეფის გუბერნატორის - კოსბის წინააღმდეგ მემამბოხე და ცილისმწამებლური სულისკვეთების სტატიის ნიუ-იორკის ჟურნალში გამოქვეყნება. ბრიტანული სასამართლოს მოხელეები შეეცადნენ, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიურიში შეეყვანათ კოსბის მომხრენი, მაგრამ ბრალდებულის დამცველმა – ცნობილმა ადვოკატმა ფილადელფიიდან ენდრიუ ჰამილტონმა მოახერხა ამგვარ მსაჯულთა აცილება.

ხელახლა ფორმირებული შემადგენლობის ზოგიერთი წევრი კი უკვე ანტიბრიტანული განწყობისა აღმოჩნდა. სხდომაზე ადვოკატს არ მისცეს მოწმეების წარდგენის ნება, რომ მათ დაედასტურებინათ ბრალდებულის ნათქვამის ჭეშმარიტება. ამის შემდეგ

---

<sup>7</sup> იხ. დადეშქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 673-674

ჰამილტონმა მსაჯულებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ეს პროცესი არ ეხება მხოლოდ ჟურნალისტს, ან ნიუ-იორკის ჟურნალს. ამ პროცესის შედეგებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ყველა თავისუფალ მოქალაქეზე, რომელიც ბრიტანული მმართველობის ქვეშ ცხოვრობს ამერიკის კონტინენტზე. საქმე ეხება უფრო მეტს, საქმე ეხება თავისუფლებას.“ ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ზენგერი, ხოლო პროცესის შესახებ ცნობები ყველა კოლონიასა და ინგლისში გავრცელდა. ამ პრეცედენტს მოჰყვა სხვა გამამართლებელი ვერდიქტები ისეთი კატეგორიის საქმეებზეც, როგორცაა გადასახადებთან დაკავშირებული საქმეები, გაქცეული მონების მიმართ აღძრული საქმეები (ჩრდილოეთ შტატებში) და ასე შემდეგ. იმ მიზეზით, რომ ნაფიც მსაჯულებს შესაძლოა, კიდევ გამოეტანათ გამამართლებელი ვერდიქტები, ამერიკელ კოლონისტებს საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობისათვის აიძულებდნენ, საადმირალო სასამართლოსთვის (ადმირალიტყ ჩოურტ) მიემართათ, სადაც საქმეებს იხილავდნენ მსაჯულების გარეშე. სახელმწიფო ღალატის საქმეები კოლონისტების მონაწილეობისა და დასწრების გარეშე იხილებოდა, რამაც, ცხადია, კიდევ უფრო გაამწვავა ინააღმდეგობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის და, თავის მხრივ, დააჩქარა ამერიკული რევოლუცია. თომას ჯეფერსონმა დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ამერიკული კოლონიების ინგლისიდან გამოყოფის ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა ბრიტანელთა ქცევა, რამაც ხშირ შემთხვევაში ამერიკელებს წაართვა უფლება, ესარგებლათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესით.<sup>8</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ჩანაწერის თანახმად, ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულის საქმეზე ბრალდებულისთვის გარანტირებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლება. მოგვიანებით აშშ-ს კონსტიტუციაში შეტანილი მე-6 შესწორების მიხედვით (1791) ბრალდებულს მიენიჭა უფლება - სწრაფ და საქვეყნო სასამართლო პროცესზე ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეზე, რომელსაც განიხლავენ დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით შერჩეული მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულები. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტებით,

---

<sup>8</sup> იხ. რედ. მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, თბილისი 2012 წ. გვ 28-30

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება წარმოადგენს ყველა მოქალაქისათვის გარანტირებულ „სამართლიანი პროცესის უფლების“ მნიშვნელოვან ელემენტს.<sup>9</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტი, სხვა, დემოკრატიული ინსტიტუტების პარალელურად, განვითარდა მე-19 - მე-20 საუკუნეებში. შესაბამისად, ისევე როგორც არჩევნებში მონაწილეობის უფლება, იგი ყოველთვის არ იყო ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. მაგალითად, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მოქმედებდა შეზღუდვები, რომლებიც უკრძალავდა ქალებს, შავკანიანებს ან კოლონიის ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ქონებრივი სტატუსის არმქონე პირებს, ყოფილიყვნენ ნაფიცი მსაჯულები. ეს შეზღუდვები თანდათანობით გაუქმდა მე-20 საუკუნეში. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც საერთო სამართლის სახელმწიფოში, აღიარებულია პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ნაფიც მსაჯულთა კორპუსი „საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს“. ეს პრინციპი ამერიკულ სამართალში განიმარტება, როგორც „საზოგადოებრივი ფუნქციის“ გადაკვეთის პრინციპი.

შავკანიანები მართლმსაჯულების განხორციელებაში რეალურად მონაწილეობენ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც უზენაესმა სასამართლომ დისკრიმინაციის საფუძველზე გააუქმა მხოლოდ თეთრკანიანი მსაჯულებისაგან შემდგარი ჟიურის მიერ გამოტანილი ვერდიქტები. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული საქმეა ბატსონი კენტუკის შტატის წინააღმდეგ (ბატსონ ვ. კენტუკი, 476 U.S. 79 (1986)), რომელიც 1986 წელს განიხილა უზენაესმა სასამართლომ. ბატსონი აფროამერიკელია, რომელსაც ბრალად ედებოდა ყაჩაღობა და მოპარული ნივთების შენახვა. კენტუკის საოლქო სასამართლოს ვერდიქტი ბრალდებულმა გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში და მიუთითა, რომ მისი საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ მხოლოდ თეთრკანიანი მსაჯულები, რაც ერთ-ერთი არგუმენტი იყო იმისა, რომ ვერდიქტის გამოტანისას ისინი მიკერძოებულნი ყოფილიყვნენ. უზენაესმა სასამართლომ ეს არგუმენტი მისაღებად ჩათვალა და დაადგინა, რომ განსასჯელი უნდა წარდგენილიყო ნაფიც მსაჯულთა ისეთი შემადგენლობის წინაშე, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა განსასჯელის რასის

---

<sup>9</sup> იხ. *Duncan v. Louisiana*, 391 U.S. 145 (1968)

წარმომადგენლებისაგან.<sup>10</sup> 1898 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიური სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას 12 პირისგან უნდა შედგებოდეს, თუმცა ამგვარი მოთხოვნა შესაძლებელია არ გავრცელდეს სამოქალაქო საქმეების განხილვისას. 1970 წელს უზენაესმა სასამართლომ ასეთი მიდგომა მიიჩნია „ისტორიულ შემთხვევითობად“ და დაადგინა, რომ ორივე კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია 6 პირისგან შემდგარი ნაფიც მსაჯულთა ჟიური. არსებობს გარკვეული უთანხმოება პატარა ჟიურის თაობაზე, რადგან ამ იდეის მომხრეები აღნიშნავენ ამგვარი ჟიურის მეტ ეფექტურობასა და მოქნილობას, ხოლო ოპონენტები კი დაობენ, რომ მათ მიერ (იგულისხმება პატარა ჟიური) გამოტანილი ვერდიქტები ხშირად ცვალებადია. მოგვიანებით, საქმეების განხილვისას, უზენაესმა სასამართლომ უარყო 5-კაციანი ჟიურის მიერ სისხლის სამართლის საქმეების განხილვა. მსაჯულები შეირჩევიან “ვორე დირე“-ს პრინციპით, რაც ძველ ფრანგულად ნიშნავს „სამართლის თქმას“. ამ პროცედურისას მოსამართლე, ან პროცესის მონაწილე მხარე პოტენციურ მსაჯულს წინასწარ დაკითხავს, რათა გამოვლინდეს, არის თუ არა ის კვალიფიციური ან მისაღები ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად.<sup>11</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა კონსტიტუციით გათვალისწინებულია ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეზე, პრაქტიკაში სისხლის სამართლის მართმსაჯულება ამისგან განსხვავებული ფორმით ხორციელდება. როგორც წესი, ნაკლებად მნიშვნელოვანი „წვრილმანი“ დანაშაულის საქმეები განიხილება აშშ-ში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გარანტია ვრცელდება ძირითადად მნიშვნელოვან დანაშაულთა საქმეებზე. მნიშვნელოვან დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი ქმედებები, რომლის ჩადენისთვისაც პირს შეიძლება დაენიშნოს სასჯელის სახით ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა ან სიკვდილით დასჯა. ნაკლებად მნიშვნელოვან დანაშაულებს კი მიეკუთვნება ყველა დანარჩენი ქმედება, რომელიც ისჯება 6 თვემდე ვადით თავისუფლების აღკვეთით, ან ჯარიმით 5000 აშშ დოლარამდე ოდენობით.

<sup>10</sup> იხ. რედ. მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, თბილისი 2012 წ. გვ. 32-34

<sup>11</sup> იქვე, გვ. 36

უზენაესი სასამართლოს მიერ დაშვებულია ასევე ე.წ. „ორსაფეხუროვანი სიტემა“. ამ სისტემის მიხედვით, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს, მისი საქმის განხილვა განახორციელოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ თავდაპირველად განმხილველმა მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.<sup>12</sup>

მსაჯულთა ერთსულოვანი ვერდიქტის აუცილებლობა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა 1897 წელს, მაგრამ ეს წესი უარყოფილ იქნა 1972 წელს. 1999 წლისათვის 30-ზე მეტ შტატში კანონმდებლობით ნებადართულია ხმათა უმრავლესობით გამოტანილი ვერდიქტები სამოქალაქო საქმეებზე, მაგრამ ორეგონისა და ლუიზიანის შტატებში ამგვარი ვერდიქტები დაშვებულია სისხლის სამართლის საქმეებზეც. იმ შემთხვევაში, თუ მსაჯულთა საჭირო რაოდენობა ვერ ახერხებს ვერდიქტზე შეთანხმებას, საქმის განხილვა ცხადდება არასწორად და შესაძლებელია, საქმე ხელახლა გადასინჯოს ახლად არჩეულმა ჟიურიმ. მსაჯულები ძირითადად წყვეტდნენ ბრალეულობის საკითხს, ხოლო სასჯელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტა იყო მოსამართლის პრეროგატივა. ეს წესი შეიცვალა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც მან გამოიტანა საქმეზე რინგი არიზონის შტატის წინააღმდეგ (ლინგ ვ. არიზონა, 536 U.შ. 584 (2002)), სადაც არიზონის შტატში არსებული პრაქტიკა (მოსამართლის მიერ სასჯელის უმაღლესი ზომის – სასიკვდილო, ან უვადო პატიმრობის – დაკისრების საკითხის გადაწყვეტა) მიიჩნია არაკონსტიტუციურად და ამ გადაწყვეტილების მიღება გადააბარა მსაჯულებს. საქმის მასალების მიხედვით, ტიმოთი რინგმა და მისმა მეგობრებმა დააყარა დაჯავშნული მანქანა, საიდანაც გაიტაცეს ნახევარ მილიონზე მეტი ოდენობის ფულადი თანხა და ჩეკები. მარცვისას მოკლეს მძღოლი. ტიმოთი რინგს, რომელიც ამ ყაჩაღობის მთავარი მონაწილე იყო, ბრალად წაუყენეს პირველი ხარისხის მკვლელობა, რაც ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას. მსაჯულთა ვერდიქტის თანახმად, რინგი დამნაშავედ იქნა ცნობილი და არიზონის სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. მოგვიანებით, როდესაც საქმე გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, მსჯავრდებულს მიეცა საქმის ხელახალი გასაჩივრების უფლება. მსაჯულთა თათბირის რაიმე კონკრეტული ფორმა არ არის დადგენილი. პირველი ნაბიჯია მთავარი

<sup>12</sup> იხ. Ludwig v. Massachusetts, 427 U.S. 618 (1976)

მსაჯულის, ანუ თავმჯდომარის არჩევა, თუმცა ეს შესაძლოა, მოხდეს ვერდიქტის გამოტანის შემდეგაც, თუ საქმე არის მცირე მოცულობის, ან მარტივი კატეგორიის. თუ თავმჯდომარე თათბირის დაწყებისთანავე აირჩიეს, მაშინ ის უწევს თავმჯდომარეობას და წარმართავს განხილვის, მსჯელობისა და შეფასების პროცესს. ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოებას საიმედოდ აკონტროლებენ სასამართლოს დაცვის თანამშრომლები, ანდა მოსამართლის დავალებით - პოლიციელები. უწინარესად, საუბარია ნებისმიერ გარეშე პირთან რაიმე კონტაქტის გამორიცხვაზე. მოსამართლის ნებართვით, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სათათბირო ოთახში ჰქონდეთ ნივთიერი მტკიცებულებები და დოკუმენტები, რომლებიც, მათი აზრით, ხელს შეუწყობს ჯეროვანი ვერდიქტის გამოტანას. ამავე მიზნით მოსამართლე მათ ურიგებს იმ დანაშაულების წერილობით ჩამონათვალს, რომელთა შესახებაც უკვე ჰქონდა საუბარი შემაჯამებელ (სადამრიგებლო) სიტყვაში და რომელთა გამოც უნდა იქნეს გამოტანილი ვერდიქტი. ვერდიქტის გამოტანისას ნაფიცი მსაჯულები ითვალისწინებენ როგორც მოსამართლის სადამრიგებლო სიტყვას, ისე მხარეთა წინადადებებს, რომლებიც ამ სიტყვის წარმოთქმამდე წერილობით წარედგინა მოსამართლეს. მათში მხარეები გადმოსცემენ თავიანთ თვალსაზრისს არსებული მტკიცებულებების, განსასჯელის ბრალეულობის დადასტურებისა თუ დაუდასტურებლობის თაობაზე. ამერიკის შეერთებულ ტატებში მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს მოტივირება და დასაბუთება არ სჭირდება. ვერდიქტს აცხადებს მთავარი მსაჯული ღია სასამართლო სხდომაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ესწრებოდნენ მოსამართლე და განსასჯელი. სხვა მონაწილეები ესწრებიან სურვილისამებრ. გამოცხადებული ვერდიქტი აუყოვნებლივ შეიტანება სხდომის ოქმში ან სტენოგრამაში. ჩანაწერი დაუყოვნებლივ, იქვე წაეკითხებათ ნაფიც მსაჯულებს, რომლებიც ხელის მოწერით ადასტურებენ ჩანაწერის სისწორეს. თუ ეს არ მოხდა, მოსამართლე არ მიიღებს ვერდიქტს და ნაფიც მსაჯულებს შესთავაზებს თათბირის განახლებას. თუ ნაფიცი მსაჯულები ხელმოწერით ადასტურებენ ვერდიქტს, ისინი დაუყოვნებლივ თავისუფლდებიან პროცესისგან.<sup>13</sup>

---

<sup>13</sup> იხ. რედ. მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, თბილისი 2012 წ. გვ 37-39

#### 1.4 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული მიმოხილვა ინგლისში

ნაფიც მსაჯულთა ჟიურის სამშობლოდ ინგლისი ითვლება. ნაფიცი მსაჯულები ინგლისში ჯერ კიდევ შუა საუკუნეების დასაწყისში გამოჩნდნენ. ზოგიერთი ვერსიით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა, ინგლისური ცხოვრების წესის გავლენით, ფორმირება დაიწყო ჯერ კიდევ ალფრედ დიდის დროს მეცხრე საუკუნეში. თუმცა, არის მეორე ვერსიაც, რომ ეს ინსტიტუტი ინგლისში მეთერთმეტე საუკუნეში ჩაისახა.

ერთ-ერთი ვერსიით, ინგლისში ნაფიცი მსაჯულები გაჩნდნენ მას შემდეგ, რაც ნორმანდიელებმა დაიპყრეს ქვეყანა. ნორმანდთა ცენტრალიზებულ მმართველობაში მართლმსაჯულებას ახორციელებდნენ მეფის სასამართლო ორგანოები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ერთიან საერთო სამართალს. თავის დროზე, ნორმანდები წავიდნენ არა მკვიდრი მოსახლეობის (ანგლო-საქსური) სამართლის ამოძირკვის გზით, არამედ, პირიქით - შეინარჩუნეს და გამოიყენეს ადგილობრივი სამართლის მისაღები ნორმები. მეფის მოსამართლეები წელიწადში 3-4-ჯერ მაინც დადიოდნენ სამეფოს ყველა კუთხეში (საგრაფოებში) და ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას. მეცამეტე საუკუნეში მეფის მოსამართლეების ჯგუფები ცალკე სასამართლოდ - "სამეფო სკამის სასამართლოდ" გამოიყო. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა ასიზების სასამართლო, რომელიც მიწებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავდა. მოსამართლეებს, რომლებიც დადიოდნენ სამეფო კუთხეებში, მიმომსვლელ მოსამართლეებს უწოდებდნენ. ნორმანი მოსამართლეებისთვის, ადვილი არ იყო ადგილობრივ ნორმებში გარკვევა, ამიტომ, ისინი იძულებულები გახდნენ, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება გამოეყენებინათ.

1116 წელს, მეფე ჰენრიმ მეორემ გამოსცა ორდონანსი, რომელშიც მითითებული იყო, რომ ყველა დასახლებული პუნქტიდან მოსამართლეების დასახმარებლად უნდა შეერჩიათ სათანადო პირები - მსხვილი დასახლებული პუნქტებიდან 12-12 პირი და 4-4 - მცირე დასახლებებიდან, ანუ სოფლებიდან. ასე შემდგარმა ჯგუფებმა - თავისებურმა კოლეგიებმა - მიიღეს ჟიურის (ჟურყ) სახელწოდება.

ჟიურის წევრების მოვალეობა იყო ფიცის ქვეშ შეეტყობინებინათ მეფის მოსამართლეებისთვის შესაბამის დასახლებულ პუნქტში მომხდარი ყველაზე სერიოზული დანაშაულებისა და ნებისმიერი პირების შესახებ, რომელთაც ბრალი ედებოდათ ან აშკარად იყვნენ ექვმიტანილები ძარცვაში, წინასწარ განზრახ მკვლელობაში ან ქურდობაში. ასეთ ნაფიცებს ერქვათ "ნაფიცი მოწმეები", რომლებიც ასევე "ნაფიცი ბრალმდებლებიც" იყვნენ. ჟიურის წევრთა მოსამართლის წინაშე დაფიცებიდან მომდინარეობს სახელწოდება "ნაფიცი".

"ნაფიცი-მოწმე-ბრალმდებლები" არ იყვნენ ფაქტის მოსამართლეები, ანუ, ნაფიცი მსაჯულები დღევანდელი გაგებით. ისინი ამ პერიოდში და ცოტა გვიანდელ ეპოქაშიც, ძირითადად, ასრულებდნენ ფაქტების წინასწარ დამდგენი პირის (ანუ სისხლის სამართლის საქმეებზე დანაშაულის წინასწარი გამოკვლევის - მოკვლევა-გამოძიების ფუნქციას. ისინი, ფაქტებს, მათ მიერ გამოკვლეულ და დადგენილ გარემოებებს, ფიცის ქვეშ აცნობებდნენ, ანუ ჩვენებას აძლევდნენ მეფის მოსამართლეებს. შემდეგ განხილვა გრძელდებოდა შუა საუკუნეების ინკვიზიციურ-სამძებრო წესის შესაბამისად. საბოლოოდ, პირს დამნაშავედ მიიჩნევდა და სასჯელის დანიშვნის საკითხს წყვეტდა მოსამართლე - ჟიურის წევრთა გარეშე.

ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე გადასვლის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს 1194 წელი, როცა ნაფიც მსაჯულთა ფუნქციები სამძებრო-საბრალდებო ფუნქციებისგან თანდათან გათავისუფლდა და თანდათან მოხდა ნაფიც მსაჯულთა მიწვევა სისხლის და სამოქალაქო დავების გადასაწყვეტად. საბოლოოდ, ეს "გათავისუფლება" გამოიხატა დიდი და მცირე ჟიურების სისტემაზე გადასვლაში.

ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიური ანუ, "საბრალდებო ჟიური" ინგლისში ჩამოყალიბდა მეთოთხმეტე საუკუნეში. თვიდან იგი შედგებოდა 12-23 მსაჯულისგან, რაც ისევე, როგორც მცირე ჟიურის 12-კაციანი შემადგენლობა, შემთხვევითობის პრონციპით დგებოდა. ინგლისში დიდმა ჟიურიმ 1993 წლის ბოლომდე იარსება. დიდ ჟიურის მთლიანად ჩაენაცვლა პროფესიონალი მოსამართლე და მაგისტრატი მოსამართლე.



ნაფიც მსაჯულთა მცირე ჟიური წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მთავარ ღერძს, ძირითად საკვანძო ფორმას. იგი 12 კაცისგან შედგება და წარმოადგენს კოლეგიას, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეთა არსებითად განხილვას ვერდიქტის გამოტანის მიზნით.

ინგლისის მმართველობაში ერთ-ერთი ყველაზე ისტორიული მოვლენა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემდგომ ბედზე, იყო 1215 წლის "თავისუფლებათა დიდი ქარტიის" მიღება. ქარტიის 21 და 39-ე მუხლები ადგენდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებას, რომლის თანახმადაც, ყოველი დიდგვაროვანი თუ თავისუფალი ადამიანი უნდა განესაჯათ მის თანასწორებს კანონიერად და თანაზომიერად. 1689 წელს მიღებულ კონსტიტუციურ კანონში – "უფლებათა ბილში" კი, საბოლოოდ მოხდა ხელისუფლების დაყოფა-დაბალანსება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის.

ინგლისში იმდენად ბევრი საქმე იყო განსახილველი, რომ საჭირო გახდა ახალი დიფერენცირებული და სპეციალიზებული სახელმწიფო (სამეფო) სასამართლო სისტემის შექმნა. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის წმინდა სასამართლო ფუნქციების შესასრულებლად გადაკეთება, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისთვის, ვერდიქტის გამოტანით. თუ მანამდე მოსამართლე დაპირისპირებულ მხარეთა შორის დავის ანუ სარჩელის გადასაწყვეტად ირჩევდა წარმატებულ მოქალაქეთა ჯგუფს, ანუ სამართლებრივი ცოდნის მიხედვით არჩევდნენ ნაფიც მსაჯულებს, მოგვიანებით ჩამოყალიბდა პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ნაფიცი მსაჯული კონკრეტულ განსახილველ საქმეში გარკვეული არ უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ პერიოდიდან ნაფიც მსაჯულებად ირჩევდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც საქმის გარემოებების შესახებ წინასწარ არ იყვნენ ინფორმირებულნი, იყვნენ ნეიტრალური, დაუინტერესებელი პირები. ეს ნიშნავდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებას. ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, როცა დაწესდა, რომ მსაჯული, რომელიც პირად ინფორმაციას ფლობდა საქმეზე, ვალდებული იყო ჩამოშორებოდა საქმის განხილვას.

ნაფიცი მსაჯულობა საკმაოდ დამთრგუნველი და რთული იყო, რადგან იმ პერიოდში, ნაფიც მსაჯულებს სჯიდნენ გაროზგვით, მოგვიანებით კი, დაჯარიმებითაც. დამორჩილება-დათრგუნვის მიზნით, ისინი შეიძლება ჩაეკეტათ სათათბირო ოთახში და არ მიეცათ საკვები და სითბო. ამგვარი ურჩი მსაჯულები ზოგჯერ თვითონ ხდებოდნენ მეფის მოსამართლეთა მიერ მსჯავრდების ობიექტები - მათ ართმევდნენ მიწას და სხვა ქონებას.<sup>14</sup> მე-18 საუკუნის ბოლოს კი მსაჯული, რომელიც პირად ინფორმაციას ფოლბდა საქმეზე, ვალდებული იყო ჩამოშორებოდა საქმის განხილვას. მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საერთო სამართლის სასამართლოებში, საქმის განმხილველ ერთადერთ სასამართლოს წარმოადგენდა, ხოლო მე-20 საუკუნის ადრეულ წლებამდე იგი დომინანტ როლს ასრულებს როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას.<sup>15</sup>

## მეორე თავი

### 2.1 ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა საქართველოში

თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, ბრალდებულს განემარტება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და ამასთან დაკავშირებული უფლებები, რის შემდეგ უნდა გაირკვეს ბრალდებულის პოზიცია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვის თაობაზე. ამ საკითხზე მხოლოდ მისი პოზიციაა გადამწყვეტი და თუ ბრალდებული უარს არ განაცხადებს და არსებობს საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის საფუძველი, ინიშნება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღი.<sup>16</sup>

### 2.2 ნაფიც მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა

ადრე მოქმედი ნორმების მიხედვით მანამ, სანამ ნაფიც მსაჯულთა მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა დაიწყება, მხარეები წინასწარ მოწვეული

<sup>14</sup> იხ. <http://www.msajuli.ge/index.php?m=789> (ნანახია 18.05.2019წ)

<sup>15</sup> იხ. რედ. ნაჭყებია გ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, გამომც. „ივერიონი“, თბ. 2013, გვ. 60

<sup>16</sup> იხ. დადემქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 654

კანდიდატებისგან ირჩევენ მსაჯულთა შემადგენლობას. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე მოსამართლე, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წინასწარ გაგზავნილი 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას, არა უმეტეს 100 პირის შემადგენლობით. შერჩეული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიაში მიეთითება პირის გვარი და სახელი. სიას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მის ასლებს გადაცემს მხარეებს. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე ეგზავნებათ უწყება, სადაც მითითებულია სხდომის დაწყების დრო, ადგილი და გამოცხადების სავალდებულობა. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე გონივრულ ვადაში საცხოვრებელი ადგილის მისამართზე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე დამტკიცებული კითხვარი. ნაფიც მსაჯულთა კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს კითხვებს კითხვარში მითითებულ ვადაში.

ამასთან, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ სასამართლოსთვის მისი მსაჯულობასთან შეუთავსებლობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა ან შეგნებულად მცდარი ინფორმაციის წარდგენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ამდენად, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს მისთვის გაგზავნილ კითხვებზე და მიაწოდოს სასამართლოს სწორი ინფორმაცია. აცილების ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის შესახებ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატმა უნდა აცნობოს სასამართლოს უწყების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში. მსაჯულობის კანდიდატის აცილების საფუძვლები მოცემულია სსსკ-ის 30-ე მუხლში, რომლის თანახმად, პირი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად, თუ:

- იგი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია;
- იგი გამომძიებელია;
- იგი პოლიციელია;
- იგი ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;

- იგი სასულიერო პირია;
- იგი აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა;
- იგი ბრალდებულია;
- იგი ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირია;
- მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე;
- იგი ფსიქოლოგია;
- იგი ფსიქიატრია;
- იგი იურისტი<sup>17</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დღეის მდგომარეობით მოქმედი ნორმების მიხედვით კი ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე მოსამართლე 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას არაუმეტეს 300 პირის შემადგენლობით. თითოეულ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მიენიჭება რიგითი ნომერი. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე არანაკლებ 20 დღით ადრე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს საცხოვრებელი ადგილის მისამართზე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ დამტკიცებული კითხვარი. კითხვარს მოსამართლე ამტკიცებს მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს კითხვებს და 5 დღის ვადაში დაუბრუნოს მოსამართლეს შევსებული კითხვარი. მოსამართლე ვალდებულია შევსებული კითხვარები მიღებიდან 5 დღის ვადაში მხარეებს გადასცეს. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს ეგზავნებათ უწყება, რომელშიც მითითებულია სხდომის დაწყების დრო, სხდომის ადგილი და გამოცხადების სავალდებულობა. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პირველ სხდომაზე გამოძახების უწყება ეგზავნება ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული

<sup>17</sup> იხ. დადემქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 660-661

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის არაუმეტეს პირველ 150 კანდიდატს რიგითი ნომრების მიხედვით.<sup>18</sup>

ასევე, დღეის მოქმედი მდგომარეობით პირი ნაფიც მსაჯულად ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი ან/და იგი არის:

ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი;

ბ) პროკურორი;

გ) გამომძიებელი;

დ) პოლიციელი;

ე) ადვოკატი;

ვ) მოქმედი სამხედრო მოსამსახურე;

ზ) სასულიერო პირი;

თ) აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე;

ი) ბრალდებული;

კ) პირი, რომელსაც ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელი დაედო, და ამ ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წელზე ნაკლებია გასული;

ლ) ნასამართლევი<sup>19</sup>

კანდიდატთა სიის ასლები გადაეცემა მხარეებს. ასევე, მხარეებს ხელთ აქვთ კანდიდატებისთვის გადაგზავნილი კითხვარები და კანდიდატების მიერ გამოგზავნილი პასუხებიც. აღნიშნული კითხვარი მნიშვნელოვანია, რათა პროკურორმა/ადვოკატმა მოიპოვოს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის შესახებ ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას დასაბუთებული აცილების შესახებ საფუძვლის მოძიებაში და შესაბამისად, დაუსაბუთებელი აცილებების მიზანშეწონილად გამოყენებაში. მსაჯულობის კანდიდატებისათვის გადაგზავნილი

<sup>18</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2019, გვ. 197-198

<sup>19</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2019, გვ. 24

კითხვარი შეიძლება მოიცავდეს შეკითხვებს მრავალ საკითხზე. მაგალითად, მსაჯულობის კანდიდატის სახელი და გვარი; საცხოვრებელი ადგილი; სამსახური; განათლება; ოჯახური მდგომარეობა; რაიმე ორგანიზაციის წევრობა; წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც კანდიდატი კითხულობს; კინოფილმები, რომელსაც ის უყურებს; სამხედრო სამსახური; შვილები; განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და მისი წყარო; ნაცნობობა მოცემულ საქმეზე ბრალდებულთან ან სხვა პროცესის მონაწილე პირებთან; განწყობა დაცვის ან ბრალდების მხარის, პოლიციის, კანონის, მტკიცების ტვირთის, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის, საექსპერტო კვლევების მიმართ; კანდიდატის რელიგიური ან ფილოსოფიური შეხედულებები, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ ვერდიქტის გამოტანას, რადგან მიაჩნია, რომ არ აქვს უფლება განსაჯოს სხვები; ხომ არ ფიქრობს კანდიდატი, რომ არავის სდებენ ბრალს ტყუილუბრალოდ; ხომ არ ფიქრობს ის, რომ ბრალდებულს უნდა მიეცა ჩვენება პოლიციისათვის ან აუცილებლად უნდა მისცეს ჩვენება სასამართლოზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მის საწინააღმდეგოდ იქნება აღქმული; ხომ არ იყო კანდიდატი ან მისი ახლო მეგობარი წარსულში დანაშაულის მსხვერპლი, ან დაპატიმრებული; ხომ არ გააჩნია კანდიდატს სპეციალური ცოდნა ან წარსული გამოცდილება საქმისთვის მნიშვნელოვან, რაიმე კონკრეტულ საკითხზე, როგორცაა, მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღები ან ოჯახური ძალადობა და სხვა.<sup>20</sup>

### 2.3 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შერჩევის სხდომა

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა ღიაა. სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის დახურვის შესახებ. სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას, რის შემდეგაც სხდომის მდივანი აცხადებს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა ვინაობას.<sup>21</sup> შერჩევის სხდომას უძღვება სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე. იგი უფლებამოსილია დაიწყოს სხდომა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაბარებული 100 კანდიდატიდან 50-ზე ნაკლები კანდიდატი გამოცხადდება. სხვადასხვა პროცედურული საკითხის განმარტებასთან ერთად, სასამართლო,

<sup>20</sup> იხ. დადეშქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 661-662

<sup>21</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2019, გვ. 198

მსაჯულობის კანდიდატებს მიაწვდის მხარეთა მონაწილეობით მომზადებულ განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. სამართლებრივ საკითხებზე აღნიშნული განმარტებების შესაბამისად იღებენ მსაჯულები გადაწყვეტილებებს ფაქტების შესახებ. განმარტებებში მსაჯულთათვის გასაგებად ახსნილი უნდა იყოს მნიშვნელოვანი მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი ცნებები და კატეგორიები. განმარტებები ნაფიც მსაჯულებს ეძლევათ სისხლის სამართლის პროცესის ორ ეტაპზე – სხდომის გახსნისას და მსაჯულების სათათბირო ოთახში გასვლამდე. მაგალითად, განმარტებული უნდა იყოს ისეთი საკითხები, როგორცაა: უდანაშაულობის პრეზუმფცია და ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი, მტკიცებულებათა შეფასების წესები, ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძვლები, მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღების პროცესუალური წესები და სხვ.

#### 2.4 ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, აცილება და თვითაცილება

მსაჯულთა შერჩევის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია მსაჯულობის კანდიდატთა აცილების შესახებ შუამდგომლობათა განხილვა. აცილების უფლებას ჯერ ახორციელებს ბრალდების მხარე, შემდეგ დაცვის მხარე. მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე სასამართლო ამოწმებს ყველა იმ გარემოებას, რაც შეიძლება გახდეს მსაჯულობის კანდიდატის თვითაცილების ან აცილების საფუძველი. ამ მიზნით სასამართლო საშუალებას აძლევს მხარეებს კანდიდატებს დაუსვან დამატებითი შეკითხვები. კითხვების დასასმელად სასამართლო მხარეებს განუსაზღვრავს გონივრული ვადას. ამიტომ მნიშვნელოვანია, მხარეებს წინასწარ ჰქონდეთ დამუშავებული საკუთარი კითხვები, რომ სათანადო ეფექტურობით გამოიყენონ მათთვის განსაზღვრული დრო. მოსამართლე

უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეებს მისთვის წინასწარ იმ კითხვების წარდგენა, რომელთა მსაჯულობის კანდიდატისთვის დასმასაც აპირებენ. ასეთ შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ დასვან დამაზუსტებელი კითხვებიც. მხარეთა კითხვები შედგენილ უნდა იქნეს იმგვარად, რომ გამოირიცხოს მსაჯულობის კანდიდატთა პერსონალური, პროფესიული და/ან კომერციული საიდუმლოების ხელყოფა. თუმცა,

მართლმსაჯულების ინტერესები მაინც უფრო დიდი ღირებულებაა ჩამოთვლილ ღირებულებებთან შედარებით.

მხარეებს უფლება აქვთ განაცხადონ აცილება. აცილება ორი ტიპისაა – დასაბუთებული და დაუსაბუთებელი. მხარეს შეუძლია დააყენოს შეუზღუდავი რაოდენობის დასაბუთებული შუამდგომლობა აცილების თაობაზე. დასაბუთებული აცილების შუამდგომლობაში მხარეს მოჰყავს ფაქტები და არგუმენტები აცილების რომელიმე საფუძვლის არსებობის შესახებ. გაცხადებულ აცილებასთან დაკავშირებით მოსამართლე ისმენს მეორე მხარის აზრსაც და გამოაქვს დასაბუთებული განჩინება აცილების დაკმაყოფილების ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დაუსაბუთებელი აცილება გულისხმობს შუამდგომლობის დაყენებას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თითოეული მხარე უფლებამოსილია წარადგინოს 10-10 დაუსაბუთებელი აცილება. დანარჩენ შემთხვევაში, მხარეებს 6 განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ. თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, თითოეულ მათგანს დამატებით 3 დაუსაბუთებელი აცილების უფლება ენიჭება. თუ რომელიმე ბრალდებული არ გამოიყენებს მის კვოტას, მისი გამოყენების უფლება ენიჭება იმავე საქმეში სხვა ბრალდებულს. სახელმწიფო ბრალმდებელი ისარგებლებს იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების უფლებით, რამდენითაც ისარგებლა ყველა ბრალდებულმა ერთად. დაუსაბუთებელი აცილება გულისხმობს, რომ მხარე არ არის ვალდებული გაამჟღავნოს მისი გადაწყვეტილების მოტივაცია – რატომ მიიღო მან ამა თუ იმ მსაჯულობის კანდიდატის აცილების გადაწყვეტილება.

ნაფიც მსაჯულობის კანდიდატი საქმის განხილვას შეიძლება ჩამოშორდეს თვითაცილების შუამდგომლობის დაყენების შედეგად. შესაძლებელია, კანდიდატმა მისთვის უწყების და კითხვარის გაგზავნის ეტაპზე ვერ მოახდინა აცილების საფუძვლის იდენტიფიცირება, რაც საბოლოოდ მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე გამოიკვეთა. ასეთ შემთხვევაში, კანდიდატს არ ერთმევა უფლება და ვალდებულებაც კია განაცხადოს თვითაცილება. მოცემული მუხლის მე-7 ნაწილი ადგენს, რომ ნაფიც



მსაჯულს შეუძლია განაცხადოს თვითაცილების შესახებ. თუმცა, თვითაცილების ვალდებულება გამომდინარეობს სსსკ-ის 221-ე მუხლის მე-6 ნაწილიდან, რომლის თანახმად ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სასამართლოს აცნობოს მისი აცილების საფუძვლის შესახებ. თვითაცილების შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. ეს ბუნებრივი მოთხოვნაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცემათ ბოროტად გამოიყენონ თვითაცილების უფლება და თავი აარიდონ საკუთარი მოვალეობის – მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულების განხორციელებაში ნაფიც მსაჯულებად – შესრულებას. გარდა, სსსკ-ის 30-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული აცილების საფუძვლებისა, სსსკ-ის 31-ე მუხლი ადგენს გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში კანდიდატს უფლება აქვს უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულობის მოვალეობის შესრულებაზე. ეს გარემოებებია:

- თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;
- თუასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვანზიანს;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;
- თუ 70 წელს გადაცილებულია.

მხარეებს უფლება აქვთ გამოთქვან თავისი მოსაზრება თვითაცილების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე და შესაძლოა, მან არ დააკამყოფილოს კანდიდატის შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ, თუ რეალურად არ არსებობს მსაჯულობის კანდიდატის აცილების საფუძველი. აცილებისა და თვითაცილების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობა იკლებს. თუ ასეთი კლების შედეგად კანდიდატთა რაოდენობა სიაში 14 ნაკლები იქნება, სასამართლო არა უმეტეს 10 დღით გადადებს სხდომას და იწყებს კანდიდატთა ხელახალი მოწვევის პროცედურას. თუმცა, წინა პროცედურით შერჩეული მსაჯულები რჩებიან და მათ დაემატებათ ახალი პროცედურის შედეგად მოწვეული და შერჩეული მსაჯულები.

## 2.5 კანდიდატის დანიშვნა ნაფიც მსაჯულად

აცილების და თვითაცილების შემდეგ მსაჯულობის კანდიდატთაგან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორს სათადარიგო მსაჯულად. თუმცა, მოსამართლეს შეუძლია დაამტკიცოს მეტი სათადარიგო მსაჯული. საქმის განხილვის მიმდინარეობისას, სხვადასხვა მიზეზით, ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს მსაჯულის ავადმყოფობა ან კანონის დარღვევა, რაც მსაჯულის დათხოვნის საფუძველი გახდა. ზოგიერთი სახის კანონის დარღვევა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებასაც კი წარმოადგენს. მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა თათბირის და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა. ნაფიცი მსაჯულის დათხოვნის და მის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევებში საქმის განხილვაში ერთვება სათადარიგო ნაფიცი მსაჯული. საბოლოოდ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეზე, რვაზე ნაკლები მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე და ათზე ნაკლები განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე. სათადარიგო მსაჯული ესწრება როგორც სასამართლო სხდომას, ისე სასამართლო თათბირს. თუმცა, არ მონაწილეობს კენჭისყრაში და არ აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი ამა თუ იმ განსახილველ საკითხზე ან სხვაგვარად მოახდინოს გავლენა ნაფიც მსაჯულებზე.<sup>22</sup>

## 2.6 ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და წესს კი ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ არის მუდმივმოქმედი. ნაფიცი მსაჯულები იკრიბებიან პერიოდულად და განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციით, როდესაც წარდგენილი ბრალიდან გამომდინარე, საქმე მათი განსჯადია. თავად ბრალდებულის უფლება, გააკეთოს არჩევანი საერთო სასამართლოსა და ნაფიც

<sup>22</sup> იხ. დადეშქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 662-667

მსაჯულთა სასამართლოს შორის. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმეს არსებითად განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის სურვილს გამოთქვამს თავად ბრალდებული. პროკურორი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვა და არც სასამართლოა უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით დაადგინოს, რომ საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ.<sup>23</sup>

## 2.7 სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი

უპირველესი, რაც მოსამართლემ უნდა დაიცვას ნაფიცი მსაჯულებისთვის განმარტებების მიცემისას, არის ის, რომ არ გამოხატოს თავისი პირადი შეხედულება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას განეკუთვნება. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. მიცემული განმარტებები სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან, ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან.

წინათ მოქმედი საპროცესო კოდექსის თანახმად სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავდა:

- ბრალდების შინაარსს და მის სამართლებრივ საფუძველს;
- მტკიცებულებათა შეფასების ძირითად წესს;
- უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნებას და იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება;
- რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონს და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას;
- რომ სხდომის მიმდინარეობისას მათ უფლება აქვთ, აწარმოონ და გამოიყენონ ჩანაწერები

---

<sup>23</sup> იქვე, გვ. 670

– რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომ არცერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით, რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი ვარაუდის საფუძველზე ან დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით;

– თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე ვერდიქტის გამოტანის წესს;

– რომ ჯერ კენჭი უნდა უყარონ ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ

ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით;

– რომ მათ ხელი უნდა მოაწერონ თითოეული ბრალდებისათვის წარდგენილი ვერდიქტის ფორმებიდან მხოლოდ ერთს – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას.

დღეის მდგომარეობით, სხდომის თავმჯდომარე ზემოთ ხსენებულ განმარტებებთან ერთად დამატებით განუმრტავს რომ: ბრალდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის დადასტურების აუცილებლობას, ამ ქმედების ობიექტური შემადგენლობის თითოეული ელემენტის არსებობის დამტკიცების ჩათვლით; განზრახვისა და გაუფრთხილებლობის არსა და მნიშვნელობას; მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავ გარემოებებს.<sup>24</sup>

სხდომის თავმჯდომარე არ არის შეზღუდული აღნიშნული ჩამონათვალით და უფლებამოსილია, ნაფიც მსაჯულებს მისცეს განმარტება ყველა იმ გარემოების ირგვლივ, რასაც ის აუცილებლად მიიჩნევს იმისათვის, რომ ნაფიც მსაჯულებს გაუმარტივდეთ როგორც მიღებული ინფორმაციის შეფასება, ასევე, საქმეზე გადაწყვეტილების მიღება, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რაიმე სახის მინიშნების გაკეთება კონკრეტული პირის უდანაშაულობასთან ან დამნაშავეობასთან დაკავშირებით. სხდომის თავმჯდომარე ნაფიცი მსაჯულებისთვის განმარტებების მიცემისას მათ, ასევე, განუმარტავს სამართლებრივი ტერმინების ცნებებს, ისეთს, როგორცაა მტკიცებულება, უდანაშაულობის პრეზუმფცია და ა.შ. თითოეული ტერმინი განმარტებულ უნდა იქნეს საფუძვლიანად და ამომწურვად, რათა ნაფიც მსაჯულებს არ დარჩეთ კითხვები მხარეთა მიერ გამოყენებულ ტერმინებთან

<sup>24</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2019, გვ. 223

დაკავშირებით. მართალია, რთულია (ხანდახან შეუძლებელიც) იურიდიული ცნებების ზედმიწევნით გასაგებად მიწოდება ყველა მსაჯულისთვის, თუმცა შესაძლებელია ინფორმაციის იმგვარად მიწოდება, რომ მათთვის ნათელი იყოს იმ ტერმინების მნიშვნელობა და შინაარსი, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის სასამართლო. მნიშვნელოვანია, რომ თავად მხარეებმაც მიაქციონ ყურადღება აღნიშნულ საკითხს და სამართლებრივი ტერმინის გამოყენებისას ან უშუალოდ თავად განმარტონ გამოყენებული ტერმინის მნიშვნელობა, ან საერთოდ მოერიდონ ასეთი ტერმინების გამოყენებას და მსაჯულებს ინფორმაცია მიაწოდონ მათთვის მარტივად გასაგებ ენაზე.<sup>25</sup>

## 2.8 ნაფიცი მსაჯულის შეცვლა სათადარიგო მსაჯულით

აცილების პროცედურის დასრულების შემდეგ დარჩენილი მსაჯულობის კანდიდატებისგან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორი საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებს როგორც სათადარიგო მსაჯული. მოსამართლე უფლებამოსილია, საქმის სირთულიდან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მეტი სათადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ, რომელთა მაქსიმალური რაოდენობა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის და დამოკიდებულია მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.

თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას რომელიმე ნაფიცი მსაჯული რაიმე ობიექტური მიზეზით ვეღარ ასრულებს თავის მოვალეობას (მაგ., სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ დაავადდა ან აღმოაჩნდა ისეთი დაავადება, რაც ხელს უშლის მოვალეობის შესრულებაში), ან გამოვლინდა მისი აცილების საფუძველი, რაც თავის დროზე ცნობილი არ იყო (მაგ., ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა ნაფიცი მსაჯულის კომენტარი და შეფასება აღნიშნული დანაშაულის შემთხვევის შესახებ), ან ნაფიცმა მსაჯულმა დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები (მაგ., განსახილველ საქმესთან დაკავშირებით დაამყარა ურთიერთობა სხვა პირებთან), სხდომის თავმჯდომარე ათავისუფლებს ნაფიც მსაჯულს მოვალეობის შესრულებისგან და მის ნაცვლად ნიშნავს მსაჯულთა სიაში მომდევნო სათადარიგო მსაჯულს.

<sup>25</sup> იხ. დადეშქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 683-684

იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის მიმდინარეობისას წარმოიშვა რამდენიმე ნაფიცი მსაჯულის შეცვლის საფუძველი და აღმოჩნდა, რომ ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ნაფიც მსაჯულთა რაოდენობაზე ნაკლებია, სხდომის თავმჯდომარემ უნდა დაიწყოს მსაჯულთა ხელახალი შერჩევა და საქმის თავიდან განხილვა კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნული გარემოება პირდაპირ კავშირშია საქმის განხილვის ხანგრძლივობასთან და ამ მხრივ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის იმ საქმეებზე, რომლებზეც ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. სასამართლო პრაქტიკამ ცხადყო, რომ ნაფიცი მსაჯულების შერჩევა საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს და არის შემთხვევები, როდესაც ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ვერ ესწრება კანონით განსაზღვრულ 9-თვიან პატიმრობის ვადაში და მაშინ, როდესაც, შესაძლოა, კვლავ სახეზე იყოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა, სასამართლო იძულებულია, ბრალდებული დატოვოს აღკვეთის ღონისძიების გარეშე, ან პატიმრობა შეუცვალოს უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით.<sup>26</sup>

## 2.9. ნაფიც მსაჯულთა (სათადარიგო მსაჯულთა, მსაჯულობის კანდიდატთა)

### მოვალეობანი

ნაფიც მსაჯულები ვალდებულები არიან: სხდომის მიმდინარეობისას არ დატოვონ სასამართლოს ხდომის დარბაზი; ვერდიქტის გამოტანამდე არ გაამჟღავნონ საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაცია ან გამოთქვან საკუთარი აზრი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით; არ დაამყარონ ურთიერთობა განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან. თითოეული ნაფიცი მსაჯული (მათ შორის, სათადარიგო მსაჯული) ესწრება სასამართლო სხდომას სრულად, საქმის განხილვის დაწყებიდან მისი განხილვის დასრულებამდე. ნაფიცი მსაჯული აქტიურად არის ჩართული სხდომის მიმდინარეობაში, რაც გულისხმობს მისი მხრიდან შეკითხვების დასმას მოწმისთვის

<sup>26</sup> იხ. დადეშქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 691

მისთვის საინტერესო საკითხებზე, თუმცა ნაფიც მსაჯულს აკისრი ავალდებულება, არ გაამჟღავნოს საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაცია და წინასწარარ გამოთქვას საკუთარი აზრი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული გახდება მისი აცილების საფუძველი.

ნაფიც მსაჯულს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ურთიერთობის დამყარების უფლება აქვს მხოლოდ ამ საქმის განმხილველი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარესთან. შესაძლოა, ნაფიც მსაჯულს რაიმე სახის პირადი ურთიერთობა (მეგობრობა, ნაცნობობა, ნათესაური კავშირი) ჰქონდეს რომელიმე მოსამართლესთან, თუმცა მას არ აქვს უფლება, იმ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, რომელი საქმის განხილვაშიც ის მონაწილეობს ნაფიც მსაჯულად, რაიმე სახის შეკითხვები დაუსვას სხვა მოსამართლეს, გარდა თავად ამ საქმის განმხილველი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარისა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კი ნაფიც მსაჯული სხდომის თავმჯდომარისგან ვერ მიიღებს მისთვის დამაკმაყოფილებელ პასუხს და მას კვლავ დარჩება გარკვეული კითხვები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მას უფლება აქვს, დამატებით დაუსვას მოსამართლეს შეკითხვა, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაამყაროს ურთიერთობა სხვა მოსამართლესთან განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ, მოიძიონ ინფორმაცია განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხდომის ფარგლებს გარეთ და დაარღვიონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოება. ნაფიც მსაჯულთა თათბირის შინაარსი ცნობილია მხოლოდ ნაფიცი მსაჯულებისთვის, მათ არ აქვთ თათბირის საიდუმლოების გამჟღავნების უფლება, ნაფიც მსაჯულთა თათბირის შინაარსი უცნობია, ასევე, სხდომის თავმჯდომარისთვის. საიდუმლოებას წარმოადგენს, ასევე, ნაფიც მსაჯულთა კენჭისყრის შედეგები. ცნობილი ხდება მხოლოდ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საჯაროდ ცხადდება მხოლოდ მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტი. უცნობი რჩება, თუ როგორ გადანაწილდა ხმები კენჭისყრისას.

ნაფიც მსაჯულებს, პროცესის მონაწილე მხარეთა მსგავსად, აკისრიათ ვალდებულება, დაიცვან წესრიგი სასამართლოს შენობაში და შეასრულონ სხდომის თავმჯდომარის

შესაბამისი მითითებები. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ნორმა ნაფიც მსაჯულს წესრიგის დაცვის ვალდებულებას აკისრებს არამართო სხდომის დარბაზში, არამედ მთლიანად სასამართლო შენობაში.

## 2.10 ბრალდებულის ნასამართლეობა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებების დაცვას. ბრალდებულის უფლებების დაცვას ემსახურება აღნიშნული ნორმაც, რომელიც კრძალავს ნაფიც მსაჯულებისთვის ბრალდებულის წარსული ნასამართლობის ან ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც არ აქვს კავშირი წარდგენილ ბრალდებასთან. ნორმის მიზანია, ბრალდების მხარემ არ გააკეთოს ისეთი განცხადება, რაც ხელს შეუშლის ნაფიც მსაჯულებს, გადაწყვეტილება მიიღონ მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. აღნიშნული ნორმა დაუშვებლად მიიჩნევს საქმეში არარსებული ფაქტების ხსენებას. იმ შემთხვევაში, თუ მხარე მაინც მიუთითებს ასეთ ფაქტებზე, მოწინააღმდეგე მხარემ პროტესტი უნდა გამოთქვას და მოითხოვოს, მოსამართლემ შენიშვნა მისცეს დამრღვევს, ხოლო ნაფიც მსაჯულებს ხელახლა წაუკითხოს მტკიცებულების განმარტება.<sup>27</sup>

## 2.11 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირი

ნაფიც მსაჯულთა თათბირის მიმდინარეობის ეტაპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია სისხლის სამართალწარმოებისათვის, ვინაიდან სწორედ ამ ეტაპზე ხდება ნაფიც მსაჯულთა მიერ მთავარი ამოცანის შესრულება, რაც გამოიხატება მათ მიერ გადაწყვეტილების \_ვერდიქტის მიღებაში, რა დროსაც ისინი აბსოლუტურად დამოუკიდებელნი არიან. ეს არის ყველა ნაფიცი მსაჯულისთვის ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი მთელი სამართალწარმოების მიმდინარეობისას, რამდენადაც მათ უნდა გადაწყვიტონ ადამიანის ბედი.

<sup>27</sup> იხ. დადეშქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 695-697



მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარის) განმარტებებისა და მითითებების მოსმენის შემდეგ ნაფიც მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. თათბირი მიმდინარეობს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა წრეში და დაუშვებელია თათბირის დროს სხვა გარეშე პირების დასწრება. არავის არა აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში, მათ შორის, სხდომის თავმჯდომარეს და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მიღებაზე. აღნიშნული ნორმის მიზანია, ნაფიც მსაჯულს მიეცეს შესაძლებლობა, სხვათა ჩაურევლად, გარედან ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე მიიღოს პასუხსაგები გადაწყვეტილება, სასამართლოს ხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე.

ნაფიც მსაჯულთა თათბირს წარმართავს უფროსი მსაჯული. თათბირის დროს ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სასამართლოში განხილული ყველა მტკიცებულება, სხდომის აუდიო ჩანაწერის სახით. ყველა ნაფიც მსაჯულს თანაბრად აქვს შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში და გამოთქვას თავისი მოსაზრება. ამ შემთხვევაში უფროსმა ნაფიც მამსაჯულმა უნდა უზრუნველყოს, რომ თათბირის მიმდინარეობისას არ დაუშვას ერთი მსაჯულის მიერ მეორეზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა, თათბირი უნდა მიმდინარეობდეს კანონის ფარგლებში. თუ კი ნაფიც მსაჯული დაინახავს, რომ რომელიმე მსაჯული გამოხატავს აშკარა მიკერძოებას, ან ცდილობს, გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს დანარჩენ ნაფიც მსაჯულებზე, ან სხვაგვარად არღვევს კანონს, მაგალითად, უგულებელყოფს მოსამართლის მიერ მიცემულ მითითებებს, ითვალისწინებს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც სასამართლოში არ გამოკვლეულა და ა.შ., ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსამართლეს, რომელიც თავდაპირველად გააფრთხილებს ნაფიც მსაჯულს, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში დაითხოვს მას. აღნიშნული საფუძველით მოსამართლე უფლებამოსილია, დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.

საქმის განხილვის შემდეგ უფროსი ნაფიც მსაჯული თანმიმდევრობით აყენებს კენჭისყრაზე თითოეულ საკითხს სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული

რიგითობითა და ფორმულირებით. კენჭისყრა არის ღია. ჯერ კენჭიყრება გამამართლებელ ვერდიქტს ყველა წარდგენილ ბრალდებაზე. თუ ვერ იქნება მიღებული გამამართლებელი ვერდიქტი, კენჭი ეყრება უკვე გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით.

ნაფიც მსაჯულთა თათბირის ხანგრძლივობ დამოკიდებულია თითოეულ განსახილველ საქმეზე. იგი მარტივ საქმეზე შეიძლება რამდენიმე წუთშიც დამთავრდეს, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე ნაფიც მსაჯულებმა გადაწყვეტილება 15 წუთში მიიღეს, ხოლო რთულ საქმეზე შეიძლება მთელი დღეც გაგრძელდეს. არც ერთ ნაფიც მსაჯულს არ აქვს უფლება, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. თუ რომელიმე მსაჯული თავს იკავებს ხმის მიცემისგან, ნაფიც მსაჯულს აქვს ვალდებულება, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს მოსამართლეს. ამ შემთხვევაშიც, მსგავსად ზემოთ უკვე განხილული შემთხვევებისა, მოსამართლე თავდაპირველად გააფრთხილებს ნაფიც მსაჯულს, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში დაითხოვს მას. ნაფიც მსაჯულთა მიერ ხმის მიცემა ხორციელდება სიაში მათი რიგითობის მიხედვით .სულ ბოლოს ხმას აძლევს უფროსი ნაფიც მსაჯული, რომელიც აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს.<sup>28</sup>

## 2.12 ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი

ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი – გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. ნაფიც მსაჯულებს გადაწყვეტილება გამოაქვთ ფაქტების შესახებ. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისინი ხელმძღვანელობენ სხდომის თავმჯდომარის და მხარეთა მიერ სამართლებრივ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საფუძველზე. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, კარგად მომზადებული განმარტებების შეთავაზება მსაჯულებისათვის, რათა მათ მკაფიო დასკვნები გამოიტანონ მათთვის მანამდე უცხო სამართლებრივი საკითხების შესახებ.

აღრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 3 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს

<sup>28</sup>იხ. დადეშქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 720-721

გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილება მომდევნო 6 საათის განმავლობაში მიიღება. დღეის მდგომარეობით კი, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 4 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილებების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილებები მომდევნო 8 საათი განმავლობაში მიიღება.

თუ ნაფიც მსაჯულებს არ შესწევთ უნარი გამოიტანონ ვერდიქტი, სხდომის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ განუმარტავს მსაჯულებს ვერდიქტის მნიშვნელობას, ასევე არკვევს, ხომ არ არის ისეთი მსაჯული, რომელიც უარს აცხადებს მსჯელობაში მონაწილეობაზე ან რომელსაც აღმოაჩნდა ისეთი საფუძველი, რაც მას არ განუცხადებია მსაჯულთა შერჩევის დროს. თუ მსაჯულებმა სათათბირო ოთახში დაბრუნებიდან მომდევნო სამი საათის განმავლობაშიც ვერ მიიღეს ვერდიქტი, მოსამართლეს აქვს ალტერნატიული მოქმედების შესაძლებლობა\_ კიდევ ერთხელ მისცეს მსაჯულებს დამატებით გონივრული ვადა ან დაითხოვოს მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი. თუ ამ ახალმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომაც ვერ შეძლო გადაწყვეტების მიღება, ბრალდებული ითვლება გამართლებულად.

სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, გადახედოს ნაფიც მსაჯულების მიღებულ გადაწყვეტილებას, გამამტყუნებელ ვერდიქტს და გააუქმოს იგი, თუ კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სასამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. ნორმის ფორმულირების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ უნდა არსებობდეს ვერდიქტის აშკარა, თვალსაჩინო წინააღმდეგობა მტკიცებულებათა ერთობლიობასთან. სასამართლოსთვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭება გამართლებულია, რამდენადაც სხვაგვარად შეიძლება მოხდეს ბრალდებულის კონსტიტუციური უფლების \_ განაჩენის მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობის შესახებ, დარღვევა. უნდა ითქვას, რომ მუხლის ამ ნაწილის ფორმულირება ზოგადი და შეფასებითია. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ვერდიქტი ხომ არ არის აშკარად უსაფუძვლო და მტკიცებულებათა ერთობლიობის საწინააღმდეგო. ამ

უფლებამოსილების გამოყენება სასამართლოს არ შეუძლია მხოლოდ იმიტომ, რომ არ ეთანხმება ცალკეული მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან რომელიმე ცალკეული მტკიცებულების მნიშვნელობას. სხდომის თავმჯდომარე, ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში, ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს.

### 2.13 ვერდიქტის ფორმა

სსსკ ადგენს ვერდიქტის მარტივ ფორმას, რომელშიც მსაჯულები პასუხს სცემენ მხოლოდ ერთ შეკითხვაზე – დამნაშავეა თუ უდანაშაულო პირი. არსებობს ვერდიქტის სხვა, ე.წ. სპეციალური ფორმა, ძირითადად, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, სადაც ვერდიქტი ითვალისწინებს მსაჯულებისთვის დამატებით შეკითხვებს.

ამდენად, სსსკ-ის თანახმად, ვერდიქტი უნდა იყოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარე, ნაფიც მსაჯულებს უმზადებს ვერდიქტის ორ ფორმას თითოეულ ბრალდებულზე – გამამართლებელი და გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას. აღნიშნული ნორმა ადგენს თითოეული ამ ფორმისთვის სავალდებულო რეკვიზიტებს.

### 2.14 ვერდიქტის გამოცხადება

მას შემდეგ, რაც უფროსი მსაჯული ხელს მოაწერს ვერდიქტს, მსაჯულები ბრუნდებიან სხდომის დარბაზში. თუმცა, ვერდიქტი პირდაპირ არ ცხადდება. თავდაპირველად ვერდიქტი გადაეცემა სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ამოწმებს სამ საკითხს: სწორი კენჭისყრის შედეგად არის თუ არა ვერდიქტი მიღებული; ხომ არ არის ამკარა წინააღმდეგობა ვერდიქტის ფორმებს შორის და თითოეულ ბრალდებულზე თუ არის გამოტანილი ვერდიქტი. თუ ერთ-ერთი აღნიშნული საკითხი არასწორადაა გადაწყვეტილი, სხდომის თავმჯდომარის მითითებით, მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ ყველაფერი წესრიგშია ან ხარვეზი აღმოფხვრილია, უფროსი მსაჯული სხდომის დარბაზში საჯაროდ აცხადებს ვერდიქტს. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მაძღობას უხდის მსაჯულებს და დაითხოვს მათ, თუ სასაჯელის დანიშვნის სხდომაზე ისინი არ იქნებიან მიწვეულნი. სასაჯელის

დანიშვნის სხდომა გულისხმობს, ნაფიც მსაჯულების გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში ჩანიშნულს ხდომას, რომელზედაც უკვე სხდომის თავმჯდომარე ადგენს სასჯელს, მის სახესა და ზომას.

გამამართლებელი ვერდიქტის შემთხვევაში, გამართლებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს და მოსამართლე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი. განაჩენი არ საბუთდება საერთო წესით. გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადების შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე ვერდიქტის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 3 დღისა, ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომას.

## 2.15 სასჯელის დანიშვნის სხდომა

ნაფიც მსაჯულების მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომას. ამასთან, ამ სხდომაში შეიძლება კვლავაც მონაწილეობდნენ ნაფიც მსაჯულები, რაც მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. კერძოდ, თუ რომელიმე მხარე არ იქნება წინააღმდეგი, მსაჯულები მონაწილეობას იღებენ სასჯელის დანიშვნის სხდომაში და მნიშვნელოვანი ფუნქციაც აკისრიათ. მათ აქვთ უფლებამოსილება, ხმათა უმრავლესობით, სხდომის თავმჯდომარეს მისცენ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია. ერთ-ერთი ასეთი რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე შეზღუდული იქნება გარკვეული ფარგლებით, რაც ამ მუხლშია დადგენილი. კერძოდ, სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, მოსამართლეს არ აქვს უფლება მსჯავრდებულს დაუნიშნოს მისთვის წარდგენილი მუხლისთვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი. ხოლო სასჯელის დამძიმების რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, პირიქით, ორ მესამედზე ნაკლები. სასჯელის კონკრეტულ სახესა და ზომას განსაზღვრავს მოსამართლე. სასჯელის შეფარდების პროცესი, ისევე როგორც მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, წმინდა სამართლებრივი საკითხია. ამიტომ, კანონმდებელმა აქ გამორიცხა ნაფიცმსაჯულთა მონაწილეობა. თუ ნაფიც მსაჯულები ვერ ახერხებენ ერთი ან მეორე ტიპის რეკომენდაციის გაცემას (ხმათა უმრავლესობა არ მოგროვდა), მოსამართლე მსაჯულების და მათი რეკომენდაციების გარეშე ნიშნავს სასჯელს.

მხარეებს უფლება აქვთ სასამართლოს წარუდგინონ მოსაზრებები სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით. ამასთან, მათი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება მოსამართლემ დაუშვას საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება. კანონმდებელი მიუთითებს მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაუშვებელ მტკიცებულებებზე, თუმცა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ წინასასამართლო სხდომაზე შეიძლება დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებებიც იქნეს დაშვებული. ამდენად, მიუხედავად მტკიცებულების არ დაშვების გადაწყვეტილებისა, არსებით განხილვაზე მათი გამოყენება მაინც შესაძლებელია, სწორედ სასჯელის შეფარდების სხდომაზე. ბუნებრივია, აქ აზრი აქვს მხოლოდ ისეთი მტკიცებულების დაშვების შესახებ შუამდგომლობას, რომელსაც დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი შინაარსი აქვს. სხვა ტიპის მტკიცებულება (მაგ., რომლითაც მხარე აპელირებდა არასწორ კვალიფიკაციაზე ანალიზზე) არ დაიშვება მოსამართლის მიერ. დასახელებული ნორმის ფორმულირება იმგვარია, რომ არც ადრე დაუშვებლად ცნობილი შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი შინაარსის მტკიცებულება დაიშვება ავტომატურად. სასამართლოს უფლება აქვს დაუშვას ეს მტკიცებულებები შესაფასებლად ან არ დაუშვას.

მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს წარუდგინონ საკუთარი პოზიცია მეორე მხარის მიერ სასჯელთან დაკავშირებით წარდგენილ მოსაზრებაზე. მხარეთა არგუმენტებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა შეჯიბრებითი და მხარეთა თანასწორობის პრინციპზე აგებული პროცესის აუცილებელი პრინციპია. აქ ზოგადი წესია, რომ ბოლო სიტყვის უფლება აქვს დაცვის მხარეს.

## 2.16 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი

ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარეს გამოაქვს განაჩენი. როგორც აღინიშნა, ვერდიქტი და განაჩენი შეიძლება იყოს გამამართლებელი, რა დროსაც გამართლებული თავისუფლდება დაუყოვნებლივ და განაჩენი არ საბუთდება. განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი, რომელიც გამოიტანება სასჯელის შეფარდების სხდომაზე. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დასაბუთდეს მხოლოდ სასჯელის შეფარდების ნაწილში. გამამტყუნებელი ვერდიქტი

არ საბუთდება და ასევე, სხდომის თავმჯდომარემ განაჩენში ექვი არ უნდა შეიტანოს ვერდიქტის და სასჯელის შემსუბუქების/დამძიმების რეკომენდაციაში. ამგვარად, ნაფიც მსაჯულების გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი მნიშვნელოვანი თავისებურებით ხასიათდება იმ განაჩენისგან განსხვავებით, რომელიც ნაფიც მსაჯულების მონაწილეობის გარეშე გამოტანილი და რომელიც უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

## 2.17 ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამართლებელი ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი არ საჩივრდება. რაც შეეხება გამამტყუნებელ განაჩენს, იგი საჩივრდება მხოლოდ საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში. განაჩენის გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილების ექვექვე დაყენების საფუძველით. ეს საფუძველები ამომწურავად არის ჩამოთვლილი მოცემულ მუხლში.

ა) სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო.

გასაჩივრების ერთ-ერთი საფუძველია, თუ სხდომი სთავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხზე უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, როგორც ცნობილია, მოსამართლე განიხილავს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე წინასასამართლოს ხდომაზე. ხოლო, ახალი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში, სსსკ-ს 239-ემუხლით გათვალისწინებული წესით არსებითი განხილვის ხდომაზეც. უკანონო გადაწყვეტილება შეიძლება მრავალგვარი იყოს. უკანონობა გულისხმობს, რომ მტკიცებულებათა დაუშვებლობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა როგორც სსსკ-ის, ისე საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

ბ) სხდომის თავმჯდომარემ მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

აღნიშნული საფუძველი გულისხმობს ერთდროულად ორი გარემოების არსებობას: 1) მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლის უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას და 2) ამ უკანონო გადაწყვეტილებით არსებითად უნდა დაირღვეს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა შეიძლება შეეხებოდეს სხვადასხვა საკითხს. ასევე, მოსამართლის მიერ დაშვებული კანონდარღვევაც შუამდგომლობის განხილვის დროს შეიძლება მრავალნაირი იყოს. თუმცა, ეს არ არის საკმარისი. დაშვებული უკანონობა არსებითად უნდა არღვევდეს მხარეთა შეჯიბრებითობას. კანონმდებელი დამატებით იყენებს ტერმინ არსებითს, რითიც ხაზს უსვამს, რომ შეჯიბრებითობის დარღვევა არ უნდა იყოს ფორმალური, უმნიშვნელო, არამედ ის არსებითად უნდა ხელყოფდეს აღნიშნულ პრინციპს. ტერმინი არსებითი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოხდება მისი გაანალიზება. მოსამართლის მიერ დაშვებული უკანონო გადაწყვეტილების მაგალითად (რომელიც არსებითად არღვევს შეჯიბრებითობას) შეიძლება დასახელდეს ვითარება, როდესაც მხარეებმა წარადგინეს საკუთარი განმარტებები ნაფიც მსაჯულებისთვის წარსადგენად, თუმცა, მოსამართლემ დაუსაბუთებლად უარი განაცხადა ერთ-ერთი მხარის განმარტებების გადაცემაზე მსაჯულებისთვის; მხარემ იშუამდგომლ ადამატებითი მტკიცებულების წარდგენის შესახებ და მოსამართლემ საერთოდ არ მოუსმინა ამ საკითხზე მეორე მხარეს და სხვ. ორივე დასახელებულ მაგალითში სასამართლოს გადაწყვეტილებებმა არსებითად ხელყვეს შეჯიბრებითობის პრინციპი.

გ) სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა;

მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ ფაქტების შესახებ. თუმცა, ამ პროცესში ისინი ხელმძღვანელობენ მოსამართლის მიერ გაკეთებული განმარტებების საფუძველზე. მხარეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ განმარტებების მიცემის პროცესში და წარადგინონ საკუთარი ცვლილებები და დამატებები მოსამართლის მიერ შედგენილ განმარტებებზე. განმარტებები მსაჯულებს შემოუხაზავს იმ ფარგლებს, რომელშიც უნდა დარჩნენ ისინი ფაქტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ამდენად,



მოსამართლის მიერ მსაჯულებისადმი მიცემულმა არსებითად არასწორმა განმარტებამ მსაჯულთა გადაწყვეტილებაზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. აქაც ნორმა ადგენს, რომ შეცდომა უნდა იყოს არსებითი. მნიშვნელობა არ აქვს იმოქმედა თუ არა შეცდომამ მსაჯულების გადაწყვეტილებებზე. ამის შეფასება შეუძლებელიც კია, რამდენადაც ნაფიც მსაჯულების თათბირი საიდუმლოა და ისინი არასაბუთებენ ვერდიქტში, რამ განაპირობა მათი ესა თუ ის დასკვნა. მხარეთა მიერ საკუთარი განმარტებების (სხდომის თავმჯდომარის განმარტებებზე ცვლილებების დადამატებების) წარუდგენლობა, ართმევს მათ შესაძლებლობას, მოცემული საფუძვლით გასაჩივრონ განაჩენი.

დ) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს.

სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი ერთმნიშვნელოვნად უნდა ემყარებოდეს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ განაჩენი სრულად ან ნაწილობრივ არ ეყრდნობა ვერდიქტს, სახეზე იქნება განაჩენის გასაჩივრების მოცემული საფუძველი.

ე) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს.

თუ მოთხოვნათა დარღვევით იქნა გამოტანილი ვერდიქტი და ამ ვერდიქტს დაეყრდნო მოსამართლის განაჩენი, ეს გარემოება საკასაციო გასაჩივრების ერთ-ერთი საფუძველია. გარდა ამისა, ამ საფუძვლით შეიძლება გასაჩივრდეს კოდექსის სხვა მოთხოვნათა დარღვევით გამოტანილი ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი. მაგალითად შეიძლება დასახელდეს ვითარება, როცა მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძველოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. შესაბამისად, ვერდიქტი კოდექსის

დარღვევით იქნება გამოტანილი, თუ ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას. ხოლო, მოსამართლის განაჩენის დაყრდნობა ასეთ ვერდიქტზე შეიძლება ქმნიდეს გასაჩივრების მოცემულ საფუძველს.

რომელიმე ზემოთ განხილული პუნქტით საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცემა ნაფიც მსაჯულთ სასამართლოს ახალ შემადგენლობას.

სასჯელის უკანონობა ნიშნავს, რომ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და სასჯელის შეფარდების დროს გამოყენებული სხვა კანონების მოთხოვნათა დარღვევით. სასჯელის აშკარა დაუსაბუთებლობა ნიშნავს მისი ამა თუ იმ სახისა და ზომის გამოყენებას აშკარად არასაკმარისი არგუმენტაციის და მტკიცებულებების საფუძველზე. საკასაციო გასაჩივრების ერთ-ერთი საფუძველი იქნება ასევე, თუ სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია სასჯელი დანიშნოს შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით. თუ მაინც მოხდა ისე, რომ მოსამართლემ არ გაითვალისწინა რეკომენდაცია, სახეზე იქნება მის მიერ მიღებული განაჩენის გასაჩივრების საფუძველი.<sup>29</sup>

## მესამე თავი

### ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა საზღვარგარეთის ქვეყნებში

#### 3.1.1 ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დღეისთვის წარმატებულად ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს. სტატისტიკური მონაცემებით, აქ

<sup>29</sup> იხ. დადეშქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015, გვ. 726-735

ყოველწლიურად, ნაფიც მსაჯულებს 120 ათასზე მეტ საქმეზე გამოაქვთ ვერდიქტი. ეს მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში მიმდინარე სასამართლო პროცესების 90 პროცენტს შეადგენს. საქმე ისაა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არა მარტო სისხლის სამართლის საქმეების, არამედ სამოქალაქო საქმის განხილვაშიც. ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეები, რომელთა გამო, კანონით, შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ექვს თვეზე მეტი ვადით. თუმცა, ამგვარ შეზღუდვას აშშ-ის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. იგი შემუშავებულია პრაგმატული მიდგომით და უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო სარჩელების განხილვისას ნაფიცი მსაჯულები არა მხოლოდ მხარის დამნაშავეობას ან უდანაშაულობას ადგენენ, არამედ მიყენებულ ზარალსაც განსაზღვრავენ და ამა თუ იმ მხარისთვის დასაკისრებელი ჯარიმისა და კომპენსაციის ოდენობასაც ადგენენ.

### 3.1.2 ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა საერთო სიების შედგენის წესები

აშშ-ში პოტენციური ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიების შედგენის ძირითადი მეთოდია ამომრჩეველთა, ანუ ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეთა სიების გამოყენება. ზოგიერთ შტატში ამომრჩეველთა სიების გარდა, იყენებენ გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირთა და მძღოლის მოწმობის მქონეთა სიებსაც. უფრო მეტიც, სატელეფონო ცნობარებსაც. ამის მიზანია ის, რომ მაქსიმალურად სრული სია შედგეს იმ პირებისა, რომელთა მოვალეობაა ნაფიც მსაჯულთა სამსახური. სიებს, როგორც წესი, ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები. ამ წყაროებიდან მიღებული სიების გაერთიანება კი არ ხდება, არამედ ხდება მათი გადარჩევის პროცედურა - ასაკის (მინიმალური და მაქსიმალური), მოქალაქეობის ქონა-არქონის და სხვა მარტივი ნიშნების მიხედვით. დგება საერთო და სათადარიგო სიები და მათზე პასუხს აგებენ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები. სიების განახლება ხდება ყოველწლიურად.

შერჩეულ კანდიდატებს ფოსტით ეგზავნებათ ანკეტის კითხვარის ტიპის დოკუმენტი, რომელსაც აშშ-ში საკვალიფიკაციო ცნობარს უწოდებენ. მასში შეტანილია ყველა ის ცნობა და მონაცემი, რომელსაც ითვალისწინებს კანონმდებლობა. კანდიდატი ვალდებულია, შევსებული ანკეტა დაუბრუნოს ადრესატს - სასამართლოს. ეს არის პირველადი და ძირითადი წყარო, რომლის მეშვეობითაც სასამართლოში იწყება ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების შერჩევის პირველი ეტაპი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დადგენილია საკვალიფიკაციო ცნობართან დაკავშირებული პროცედურა. ცნობარი ადრესატს ეგზავნება ფოსტით და ეძლევა წინადადება, 10 დღეში (ზოგიერთ შტატში დადგენილია უფრო დიდი ვადა) შეავსოს, ხელი მოაწეროს, ფიცის ქვეშ დაამოწმოს მასში მითითებული მონაცემების სისწორე და დაუბრუნოს გამგზავნს - სასამართლოს. პირი, რომელმაც შევსებული ცნობარი არ დააბრუნა, შეიძლება გამოიძახონ მდივანთან ან კომისიაში დოკუმენტის შესავსებად. თუ პირი არ გამოცხადდება, იგი განმარტების მისაცემად გამოძახებული იქნება მოსამართლის ბრძანებით. თუ მოსამართლის ბრძანებითაც არ გამოცხადდება და არც საპატიო მიზეზის მტკიცებულებას გაგზავნის, ასეთი პირი შეიძლება დაჯარიმდეს 100 დოლარით, ან დაისაჯოს სამდღიანი პატიმრობით, ან ორივე სანქციით. ასევე პასუხს აგებს ის, ვინც არსებითი მნიშვნელობის მქონე აქტს ცნობარში დაამახინჯებს ნაფიცი მსაჯულობისგან თავის ასარიდებლად, ან პირიქით, არსებითი მნიშვნელობის აქტის ცნობარს დაამახინჯებს იმის გამო, რომ უკანონოდ გახდეს ნაფიცი მსაჯული.

ნაფიცი მსაჯულობის გამომრიცხველ გარემოებებად ითვლება მოქალაქეობის არქონა, სამართალწარმოების ენის არცოდნა, ბინადრობის ცენზი, ასაკობრივი შეზღუდვა, ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობა, შეუთავსებლობა პროფესიული, თანამდებობრივი საქმიანობის ხასიათი თუ სამსახურებრივი ნიშანი (ასეთ პირთა ჩამონათვალი 70-ს აღწევს) და თუ პირი არის ნასამართლევი, განსასჯელი და ბრალდებული.

ნაფიცი მსაჯულობიდან გამოირიცხება მოქალაქე ხანდაზმულობისა და სხვადასხვა დაავადების გამო. შესაძლოა, გამოირიცხონ ექიმები, მასწავლებლები, ორსული და ბავშვიანი ქალები, მძიმე პირადი და ოჯახური მდგომარეობის მქონე პირები,

სამსახურებრივ სამუშაოსთან და საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონენი და სხვები.

აშშ-ის კანონმდებლობით, თუ სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევა, რომ გადაულახავი სიძნელეებისა ან მეტისმეტად დაუძლეველი გარემოებების გამო ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვერ შეძლებს საქმის განხილვისას იყოს მიუკერძოებელი, ვერ განახორციელებს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციას, დაარღვევს სასამართლო წარმოების საიდუმლოებებს, ან მავნე გავლენას მოახდენს მსაჯულებზე ვერდიქტის გამოტანისას, ამგვარი პიროვნება კანდიდატობიდან დროებით გათავისუფლდება.

გამოსამახებელ კანდიდატთა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით. თუ საქმე გახმაურებულია, მაშინ, კანდიდატთა გაცილებით მეტი რაოდენობა იქნება გამომახებული, რადგან მოსალოდნელია, იმ დიდი ნაწილის აცილება, რომელიც კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა დეტალურად იყოს ინფორმირებული მასმედიის საშუალებით. გამოსამახებელთა რაოდენობას განსაზღვრავს მოსამართლე. აშშ-ში ჩვეულებრივ შემთხვევაში იმახებენ 36-40 კანდიდატს. ხოლო, გამონაკლის შემთხვევებში, მოწვეულ კანდიდატთა სია, შესაძლოა, გაცილებით დიდი იყოს. გამოსამახებელ კანდიდატთა ჯგუფში უნდა შედიოდეს ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი.

გარდა ამისა, თუ შესაძლებელია, გათავლისწინებული უნდა იყოს გენდერული, რასობრივი, ასაკობრივი, აბორიგენტთა, სხვადასხვა სოციალური ფენებისა და ჯგუფების წარმომადგენლობა. ამერიკაში კანდიდატების შერჩევის სისტემას ყველა ფედერალური სასამართლო თავად ქმნის. კერძოდ, ირჩევენ კომისიას სასამართლოს სხდომის მდივნის და ერთი მოქალაქის შემადგენლობით, რომლებიც ერთი და იმავე პარტიის წევრები არ უნდა იყვნენ. შემუშავებულია სპეციალური მოწყობილობა კენჭისყრისთვის. კენჭისყრა ტარდება საჯაროდ, ხალხის თანდასწრებით, მდივნის ან მოსამართლის მიერ.

### 3.1.3 ნაფიც მსაჯულთა დიდი და მცირე ჟიური

თავის დროზე აშშ-შიც დაინერგა ნაფიც მსაჯულთა დიდი ანუ, "საბრალდებო ჟიური" და მცირე ჟიური. ნაფიც მსაჯულთა მცირე ჟიური ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მთავარი ღერძია. იგი წარმოადგენს კოლეგიას (შემადგენლობას), რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეთა არსებითად განხილვას ვერდიქტის გამოტანის მიზნით. აგრეთვე, არსებითად იხილავს სამოქალაქო საქმეებს.

დიდი ჟიურის შემადგენლობა მერყეობს 16-დან 23-მდე. თუმცა, ტეხასის შტატში დაშვებულია 12 მსაჯული, რომელთაგან 9 უკვე ქმნის კვორუმს. მართალია, ინგლისში დიდმა ჟიურიმ იარსება 1993 წლის ბოლომდე, მაგრამ აშშ-ში იგი დღემდე ფუნქციონირებს, თუმცა, ისევე როგორც ინგლისში, მისი ფუნქციები (კომპეტენცია-განსჯადობა) თანდათანობით შეიზღუდა. დიდ ჟიურის აშშ-ში ნაწილობრივ ჩაენაცვლა პროფესიონალი მოსამართლე, ან მაგისტრატი მოსამართლე. ამით გამარტივდა ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის ერთადერთი ფუნქცია – ბრალდებულის სამართალში მიცემის ანუ წინასწარი მოსმენის განხორციელება, რაც ძირითადად, საპროცესო ეკონომიის მოთხოვნებით აიხსნება. დიდი ჟიურის ინსტიტუტის გამოყენება გამონაკლის შემთხვევებში ხდება. საუბარია მხოლოდ საშიშ დანაშაულებზე. იმისათვის, რომ პირი სამართალში მიეცეს, ამისათვის საქმე დიდმა ჟიურიმ უნდა განიხილოს. თუ ჟიური საკმარისად ჩათვლის ბრალის დასამტკიცებლად შეკრებილ მასალებს, მაშინ იგი ამტკიცებს დოკუმენტს, რომელსაც საბრალდებო აქტო ეწოდება. სწორედ ეს აქტია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის არსებითად განხილვის საფუძველი. საბრალდებო დოკუმენტის წარდგენასთან ერთად, დიდი ჟიური წყვეტს აღმკვეთი ღონისძიების საკითხსაც. ბრალდებულის თანხმობის და სხვა გარემოებების არსებობისას წყდება საკითხი წინასწარი განხილვის ჩატარების თაობაზე დღისა და საათის მითითებით. თუ წინასწარი განხილვის, ანუ მოსმენის დაწყებამდე არ მოხდა გარიგება ბრალის აღიარების თაობაზე, ანდა სხვა გარიგებაზე, ტარდება საქმის წინასწარი განხილვა. ნაფიც მსაჯულთა დიდ ჟიურიში საქმის განხილვა უფრო გასაიდუმლოებულია. ხშირად მხოლოდ პროკურორის მონაწილეობით ტარდება და ამდენად, დაცვის მხარის მტკიცებულებებს დიდი ჟიური ვერ ეცნობა. დიდ ჟიურის შეუძლია დაკითხოს როგორც

ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი, ისე თავად ჟიურის მოთხოვნით მიწვეული მოწმეები. შედეგების მიხედვით, იგი ან ამტკიცებს პროკურორის მიერ წარდგენლ საბრალდებო აქტს, ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე. ანდა მითითებას აძლევს პროკურორს, ნაკლებად მძიმე დანაშაულში ბრალის წარდგენის თაობაზე. პროკურორისთვის უარის თქმის პროცენტული მაჩვენებელი 3-დან 8 პროცენტამდე მერყეობს.<sup>30</sup>

### 3.1.4 ნაფიც მსაჯულის მოვალეობის დაკისრება და მსაჯულთა ორიენტირება

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის დაკომპლექტების შემდეგ, მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს ფიცის დადებას სთხოვს. ამას მოსდევს მსაჯულების ორიენტირება ნაფიცი მსაჯულის საქმიანობასთან დაკავშირებით. სასამართლო განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ზოგიერთ შტატში მოსამართლე გადასცემს მსაჯულებს სახელმძღვანელოს, მათი უფლებებისა და მოვალეობების აგრეთვე, მთელი რიგი სამართლებრივი ტერმინოლოგიის განმარტებით. ამავე სხდომაზე სასამართლო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან ირჩევს უფროსს მსაჯულს, რომელიც ნაფიც მსაჯულთა კენჭისყრის შედეგს აცნობს სასამართლოს და აკეთებს სასამართლოში განცხადებებს ნაფიც მსაჯულების სახელით. ზოგიერთ შტატში უფროსი მჯსაჯული ინიშნება მას შემდეგ, როდესაც დასრულდება სასამართლოში საქმის განხილვა და ნაფიც მსაჯულები ვერდიქტის გამოსატანად უნდა გავიდნენ სატაბირო ოთახში.

შტატების უმრავლესობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნაფიცი მსაჯულების გარე ზეწოლისგან დაცვის საკითხებს. ბრალდებულის გარანტია მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე რომ არ შეილახოს, გარკვეულწილად ნაფიც მსაჯულებს ეზღუდებათ გარესამყაროსთან კომუნიკაციის შესაძლებლობები. ე.წ. სეკვესტრაცია იქმადეც კი მიდის, რომ საქმის სასამართლო განხილვის პერიოდში ნაფიცი მსაჯულები დროებით საცხოვრებლად გადაჰყავთ სპეციალურ სასტუმროში, რომელსაც სასამართლოს თანამშრომელი იცავს, რათა ნაფიცმა მსაჯულებმა არ დაამყარონ

<sup>30</sup> იხ. <http://www.msajuli.ge/index.php?m=799> (ნანხია 15.05.2019 წ)

ურთიერთობა ისეთ პირებთან, რომლთაც შეუძლიათ ზეწოლა მოახდინონ მათზე და შეძლონ მათით მანიპულირება.

### 3.1.5 სისხლის სამართლის საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში

როგორც წესი, საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში იწყება ბრალდების წაკითხვით, რასაც მოსდევს შემდეგ მხარეთა შესავალი სიტყვები. თავდაპირველად შესავალი სიტყვით გამოდის ბრალმდებელი. იგი ნაფიც მსაჯულებს აცნობს დანაშაულებრივი შემთხვევის საკუთარ ვერსიას და ზოგადად საუბრობს იმ მტკიცებულებებზე, რომლის მეშვეობითაც იგი აპირებს ბრალდების დამტკიცებას. შესავალი სიტყვის შინაარს ბრალმდებელი თავად განსაზღვრავს თუმცა მას ეკრძალება ნაფიც მსაჯულებისათვის გარკვეული ცნობების მიწოდება. მაგალითად ბრალმდებელი ნაფიც მსაჯულებს ვერ ესაუბრება ბრალდებულის წინა ნასამართლეობების თაობაზე, რადგან ნაფიცი მსაჯულების განსჯადია მხოლოდ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე და არა წინარე საქმეები.<sup>31</sup>

ადვოკატი შესავალ სიტყვაში თავის მოსაზრებას აცნობს მსაჯულებს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები გამამტყუნებელი ვერდიქტისათვის არასაკმარისი და რომელი მტკიცებულებებით შეძლებს იგი ბრალდების მტკიცებულებების გაბათილებას. ამის შედეგად ნაფიცი მსაჯულები პროცესის დასაწყისშივე არიან ინფორმირებულები პროცესის თემატიკის და მხარეთა სტრატეგიის თაობაზე. ზოგიერთ შტატში პროკურორი შესავალი სიტყვის პარარელურად ნაფიც მსაჯულების წინაშე ბრალდების მტკიცებულებების პრეზენტაციასაც ახდენს, რომელსაც ადვოკატის შესავალი სიტყვა და მტკიცებულებების პრეზენტაცია მოყვება.<sup>32</sup>

<sup>31</sup> იხ. რედ. ნაჭყებია გ., ავტორთა ჯგუფი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, გამომც. „ივერიონი“, თბ. 2013, გვ. 77-78

<sup>32</sup> იხ. რედ. ნაჭყებია გ., ავტორთა ჯგუფი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, გამომც. „ივერიონი“, თბ. 2013, გვ. 80



### 3.1.6 მხარეთა დასკვნითი სიტყვები

მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ მხარეები გამოდიან დასკვნითი სიტყვებით. ამ ეტაპზე ისინი ცდილობენ, დაარწმუნონ ნაფიცი მსაჯულები, თ რატომ უნდა ცნოს სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ, ან უდანაშაულოდ. დასკვნითი სიტყვებით ფამოსვლას იწყებს ბრალმდებელი, შემდეგ კი იგივეს აკეთებს დამცველი. ზოგიერთ შტატში დაშვებულია ბრალმდებლის დამატებითი დასკვნითი სიტყვით გამოსვლაც. ბრალდებულის საბოლოო სიტყვით გამოსვლა დამოკიდებულია მოსამართლის შეხედულებაზე.

### 3.1.7 ნაფიცი მსაჯულებისათვის განმარტებების მიცემა

დასკვნითი სიტყვით მხარეების გამოსვლის შემდეგ ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა დატოვონ სასამართლო სხდომის დარბაზი და გავიდნენ სათათბირო ოთახში საბოლოო გადაწყვეტილების მსიაღებად. სათათბირო ოთახში გასვლამდე მოსამართლე აძლევს მათ მითითებებსა და განმარტებებს. მოსამართლე განუმარტავს ნაფიც მსაჯულებს, თუ რომელი მტკიცებულებები უნდა გაითვალისწინონ გადაწყვეტილების მიღებისას და მიუთითებს კანონით დადგენილ იმ წესებზე, რომლებიც რელევანტურია მტკიცებულებების შეფასებისას. ზოგიერთ შტატში ეკრძალება მოსამართლეს ნაფიცი მსაჯულებისათვის იმის მითითება, თუ როგორ უნდა შეფასდეს კონკრეტული მტკიცებულება, მაგრამ მას შეუძლია საერთოდ გამოირიცხოს ცალკეული მტკიცებულებები საქმიდან. მაგალითად, საქმიდან უნდა გამოირიცხოს ბრალდების მხარის ზოგიერთი სახის მტკიცებულება, რათა დაცული იქნეს კონსტიტუციის მოთხოვნები. სხვისი ნათქვამის მოწმის მიერ გამეორება ვერ იქნება გამოყენებული ბრალდებულის წინააღმდეგ, რომელიც ამ უკანასკნელს უფლებას აძლევს, დაუპირისპირდეს ბრალდების მოწმეს. უკანონო ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებაც ასევე უნდა გამოირიცხოს საქმიდან. გარდა ამისა, დაუშვებელია ბრალდებულის ჩვენება იმ შემთხვევაში, თუ იგი მოპოვებულია თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის უფლებების დარღვევით.

სხდომის თავმჯდომარის მიითებებს და განმარტებებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მხარეების მხრიდან, ვინაიდან, მოსამართლეს შესაძლებლობა აქვს, ნაფიცი მსაჯულების ყურადღება გარკვეული მიმართულებით მიმართოს. ამის გამო, მხარეებს აქვთ უფლება მიაწოდონ მოსამართლეს რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ გარემოებებზე უნდა გაამახვილოს ყურადღებაამ უკანსკნელმა თავის რეკომენდაციებსა და მითითებებში. მხარეების თავის რეკომენდაციებს წერილობითი ფორმით წარუდგენენ. აღსანიშნავია, რომ სხდომის თავმჯდომარე არ არის კანონით შეზღუდული, არ გაიზიაროს მხარეთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები. მას შეუძლია თავის განმარტებებსა და მითითებებში ესაუბროს ნაფიც მსაჯულებს ისეთ გარემოებებზეც, რომლებიც მხარეების რეკომენდაციებით გათვალისწინებული არ ყოფილა.<sup>33</sup>

### 3.1.8 ნაფიც მსაჯულთა თათბირი

ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის თათბირს ესწრებიან მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები. სხვა პირის დასწრება ვერდიქტის გაუქმების საფუძველია. ამიტომ, თათბირის ოქმით, სტენოგრამით და სხვა რაიმე ფორმით დაფიქსირება არ ხდება. ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, გამოიყენონ სასამართლო სხდომაზე გაკეთებული საკუთარი ჩანაწერები, აგრეთვე ნორმატიული, საცნობარო, სამეცნიერო-პრაქტიკული და სხვა საჭირო იურიდიული ლიტერატურა. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, აშშ-ში ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სათათბირო ოთახში ჰქონდეთ მტკიცებულებები - საჭიროების შემთხვევაში მათი ხელახალი დათვალიერების მიზნით.

თათბირს ხელმძღვანელობს ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარე, რომელიც კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ითვლის ხმებს, შედეგები შეაქვს "ვერდიქტის ფორმაში" და "კითხვათა ფურცლებში" - პასუხის სახით. ხელს აწერს მას და გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარეს. მოსამართლის მიერ ვერდიქტის მოწონების შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა ჟიურის თავმჯდომარე აქვეყნებს ვერდიქტს სხდომათა დარბაზში. ვერდიქტის კლასიკური სახეებია - გამამართლებელი და გამამტყუნებელი.

---

<sup>33</sup> იხ. რედ. ნაჭყებია გ., ავტორთა ჯგუფი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, გამომც. „ივერიონი“, თბ. 2013, გვ. 84-86

ვერდიქტის ერთსულოვნება მოითხოვება აშშ-ის 45 შტატში. თუმცა, ყველა შტატში ვერდიქტი ერთსულოვანი უნდა იყოს იმ საქმეებზეც, რომლებზეც შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა. საქმის განხილვა ხდება ექვსი მსაჯულის (ანუ მინიმალური) შემადგენლობით. არც ერთ შტატში ვერდიქტს მოტივირება არ სჭირდება. გამოცხადებული ვერდიქტი დაუყოვნებლივ შედის სხდომის ოქმში. ჩანაწერი იქვე წაეკითხებათ ნაფიც მსაჯულებს, რომლებიც ხელის მოწერით ადასტურებენ ჩანაწერის სისწორეს. ხელის მოწერის დადასტურების შემდეგ, ნაფიცი მსაჯულები თავისუფლდებიან პროცესიდან. ნაფიც მსაჯულთა თათბრის საიდუმლოებას საიმედოდ აკონტროლებენ სასამართლო ბოქაულები ანდა მოსამართლის დავალებით - პოლიციელები.<sup>34</sup>

### 3.1.9 ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი და ნულიფიკაცია

მას შემდეგ, რაც ნაფიცი მსაჯულები, ფარული თათბირის შედეგად ვერდიქტს მიიღებენ, კვლავ გრძელდება საქცეცნო სასამართლო განხილვა. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს აცხადებს უფროსი მსაჯული, ან მოსამართლე და იგი შეიძლება სხვადასხვა შინაარსის მქონე იყოს. შესაძლოა, მსაჯულებმა ბრალდებული გაამართლონ ან დამნაშავედ სცნონ. ზოგიერთ შტატში ნაფიც მსაჯულებს აქვთ უფლება, ბრალდებული მიიჩნიონ უდანაშაულოდ შეურაცხადობის გამო. ფედერალურ სასამართლოებში და ცალკეული შტატების სასამართლოებში დაშვებულია ბრალდებულის გამართლება ბრალდებაში მითითებულ მძიმე დანაშაულში და მისი დამნაშავედ ცნობა ნაკლებად მძიმე დანაშაულის გამო. თუ ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტით უდანაშაულოდ სცნობენ, სისხლის სამართლის პროცესი მთავრდება. ბრალდებულს უფლება აქვს როგორც უდანაშაულო პირმა დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი. მიდი დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში კი სასამართლო განხილვის პირველი ეტაპი მთავრდება და განისაზღვრება სასჯელის შეფარდების სხდომის დღე. აღსანიშნავია, რომ შტატების უმეტესობა შესაძლებლობას აძლევს სხდომის თავმჯდომარეს, გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტი და გაამართლოს ბრალდებული. ამ უფლებამოსილების გამოყენება მოსამართლის მხრიდან მხოლოდ გამონაკლის

<sup>34</sup> იხ. <http://www.msajuli.ge/index.php?m=799> (ნანხია 16.05.2019 წ)

შემთხვევებში ხდება. მოსამართლის გადაწყვეტილება აღნიშნულ შემთხვევაში ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. ამ დროს ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტი აშკარა წინააღმდეგობაში უნდა იყოს საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან და მოსამართლეს უნდა მიაჩნდეს, რომ ვერდიქტი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველგვარი ეჭვის გარეშე გაუქმდებოდა.

ამერიკული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცესის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ შტატების უმრავლესობაში დაცვის მხარეს უფლება აქვს გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ გამოკითხოს თითოეული მსაჯული და გაარკვიოს, თუ რამდენად ერთსულოვნად არის მიღებული ვერდიქტი. თუ გამოკითხვის დროს ნაფიცი მსაჯული მიღებულ ვერდიქტთან დაკავშირებით შეიცვლის პოზიციას, ვერდიქტი უნდა გაუქმდეს, როდესაც აღარ არსებობს გამამტყუნებელი ვერდიქტისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა. ასეთ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულები სხდომის თავმჯდომარის მითითებით ბრუნდებიან სათათბირო ოთახში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით საქმის განმხილველი პროფესიონალი მოსამართლისაგან, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ კანონის უგულვებელყოფითაც კი გაამართლონ ბრალდებული. ეს შეიძლება მოხდეს მაშინაც კი, როდესაც სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ბრალდებულის ბრალი საფუძვლიანი ეჭვის გარეშე დგინდება. აღნიშნული უფლება „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაციის“ სახელითაა ცნობილი. იმ შემთხვევაში, თუ ნაფიცი მსაჯულები კანონის გადახვევით პირს გაამართლებენ, დაუშვებელია გამართლებულის განეორებითი გასამართლება იმავე ქმედებისათვის. აქედან გამონაკლისია ფედერალურ სასამართლოებში გამართლებული ბრალდებულის სხვა შტატის სასამართლოში ხელმეორედ გასამართლება, როდესაც ბრალდებულმა თავისი ქმედებით დაარღვია რამდენიმე „სუვერენის“ კანონი. თითოეული შტატის სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს სასჯელი სხვა სუვერენისაგან დამოუკიდებლად. „ნულიფიკაციის“ მომხრეები ამ უფლებაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობის მიზანს ხედავენ. მისი მოწინააღმდეგეები აღნიშნავენ, რომ არაპოპულარულ

დაზარალებულსაც კი სჭირდება დაცვა, ანდა კანონი, რომელსაც ზოგიერთი ადგილობრივი თემი უპირისპირდება, მთელი ერის ნებას გამოხატავს. ასეთი სახის საქმეებზე მსაჯულთა უარი კანონის გამოყენებაზე შეიძლება მიუღებელი იყოს.

### 3.1.10 შუამდგომლობა მსჯავრდებულის გამართლებასთან დაკავშირებით

ნაფიცი მსაჯულების მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის მიღების მიუხედავად, დაცვის მხარეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით და სთხოვოს მსჯავრდებულის გამართლება. მოსამართლე მხოლოდ იმ შემთხვევაში აკმაყოფილებს აღნიშნულ შუამდგომლობას, თუ ადვოკატი დაარწმუნებს მას, რომ ბრალმდებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით ნაფიც მსაჯულებს კეთილგონიერების გამოჩენის შემთხვევაში უნდა მიეღოთ გამამართლებელი ვერდიქტი. ასეთ შუამდგომლობას ამერიკულ პრაქტიკაში მოსამართლე იშვიათად აკმაყოფილებს იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ნაფიც მსაჯულთა ამოცანა სწორედ პირის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტაა. თუკი მოსამართლე ასეთ შუამდგომლობას დააკმაყოფილებდა, ერთის მხრივ, შეიბღალეობდა ნაფიცი მსაჯულების ავტორიტეტი და მეორეს მხრივ, დაირღვეოდა მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს შორის ფუნქციონირება განაწილების პრინციპი.

### 3.1.11 სასჯელის დანიშვნის სხდომა

თუ ბრალდებულის მიმართ ნაფიცმა მსაჯულებმა მიიღეს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დაცვის მხარის ზემოხსენებული შუამდგომლობებიც არ დაკმაყოფილდა, ცალკე სასამართლო სხდომაზე ინიშნება ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი. სასჯელის დანიშვნის პროცესს უძღვება იგივე მოსამართლე, რომელიც უძღვებოდა ნაფიცი მსაჯულების სასამართლო პროცესს. ამ ორ პროცესს შორის შუალედი, შესაძლოა ორიდან სამ თვემდეც გაგრძელდეს.

ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, სასჯელის დანიშვნის პროცესი ნაკლებად ფორმალურია. პროცესის მიმდინარეობა თავიდან ბოლომდე თავმჯდომარე მოსამართლის ფართო დისკრეციაშია მოქცეული.

განსხვავებით სასამართლო განხილვის წინა ეტაპისაგან, ამ ეტაპზე მტკიცებულებების შეფასების პრინციპები შეზღუდულად მოქმედებს. მაგალითად, მოსამართლეს სასჯელის დანიშვნის დროს უფლება აქვს მხედველობაში მიიღოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც წინა ეტაპზე დაუშვებელ მტკიცებულებად იყო მიჩნეული და საქმიდან იყო ამოღებული.

სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის აქ დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა სოციალური სამსახურების მიერ ნაფიც მსაჯულების მიერ გამტყუნებული პირის შესახებ მომზადებული დასკვნა. დასკვნაში მოცემულია მითითებები მოსამართლისთვის დასანიშნ სასჯელთან დაკავშირებით. მართალია, სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლე აღნიშნულ მითითებებზე სამართლებრივად არ არის დამოკიდებული, თუმცა პრაქტიკაში ასეთ დასკვნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვინაიდან იგი მოსამართლეს აძლევს იმ ბაზისს, რის საფუძველზეც შეუძლია მას დანიშნოს სამართლიანი სასჯელი. როგორც აღინიშნა, სასჯელს ნიშნავს და სასჯელის ზომას განსაზღვრავს მოსამართლე. მხოლოდ რაოდენიმე შტატში, გამონაკლისის სახით სასჯელის განსაზღვრისას აქტიურად მონაწილეობენ ნაფიცი მსაჯულები. დღესდღეობით, შტატების დაახლოებით სამ მეოთხედში ფედერალური მთავრობის მიერ სასიკვდილო განაჩენი დასაშვებად არის ცნობილი, ხოლო შტატების უმრავლესობაში ამ სასჯელის შეფარდების საკითხს არა მოსამართლე, არამედ ნაფიცი მსაჯულები წყვეტენ. ასეთ დროს სასჯელის შეფარდების პროცესი საქმის არსებით განხილვას წააგავს. ეს არის შეჯიბრებითი პროცესი, რომლის დროსაც მხარეები წარმოადგენენ მტკიცებულებებს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა შესახებ. ბრალდებისა და დაცვის ადვოკატებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ინფორმაცია მსჯავრდებული პირის ხასიათის შესახებ. ნაფიც მსაჯულებს ეძლევათ მითითება იმის შესახებ, რომ სპეციფიკური დამამძიმებელი გარემოება უნდა დადგინდეს საფუძვლიანი ეჭვის გარეშე მანამ, სანამ მსჯავრდებულს განაჩენით სიკვდილით დასჯა შეეფარდება.

### 3.1.12 აპელაცია

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დაცვის მხარეს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში პირველი ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აპელაციის უფლება აშშ-ს კონსტიტუციით არ არის გარანტირებული, მაგრამ ცალკეული შტატების კანონები ანიჭებენ დაცვის მხარეს აღნიშნულ უფლებამოსილებას.

დაცვის მხარის მიერ აპელაციის წარდგენის საფუძველი შეიძლება იყოს საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში არსებითად განხილვისას დაშვებული არსებითი სამართლებრივი შეცდომები, რომლებმაც ზიანი მიაყენეს მსჯავრდებულის უფლებებსა და ინტერესებს. იგი შეიძლება შეეხებოდეს საბრალდებო აქტის შედგენისა და დამტკიცების წესებს, მხარეთა მიერ განცხადებულ შუამდგომლობათა განხილვის, ან მტკიცებულებათა წარდგენის წესს, მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის მიცემული სადამრიგებლო სიტყვის შინაარსს და ა.შ.

### 3.1.13 ნაფიც მსაჯულთა პროცესის საჯარო გაშუქება

ამერიკის შეერთებულ შტატებში კარგად ესმით, რომ მედიის მიერ დანაშაულის, ბრალდებულისა თუ დაზარალებულის შესახებ ინფორმაციის გაშუქებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა შეხედულებებზე. პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს ისეთ ცნობებს, რაც საქმის სასამართლო განხილვის დროს დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული. ამგვარმა ზეგავლენამ, შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობა და მისი გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა. აღსანიშნავია, რომ ნაფიც მსაჯულებს მოსამართლეებთან ერთად ევალებათ საქმის გადაწყვეტის პროცესზე არ დაუშვან ზემოქმედება იმ ინფორმაციისა, რომელიც სასამართლოზე არ ყოფილა გამოკვეთილი. ასევე, ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესში უნდა მოხდეს იმ მსაჯულთა აცილება, რომლებმაც საქმის გაშუქების შედეგად დაუძლეველი ზეგავლენა განიცადეს. არის შემთხვევები, როდესაც მთელი საზოგადოება იმდენადაა გაჟღერებული ემოციით, ეჭვითა თუ ჭორებით, რომ ძნელია ნაფიცი მსაჯულის პოვნა, რომელსაც საქმის შესახებ

არაფერი სმენია. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა მოსამართლემ საქმის განხილვის ადგილმდებარეობა შეცვალოს. საქმეზე შერჩეულ ნაფიც მსაჯულებს ეძლევათ მითითება, რომ საქმის განხილვისას ისინი არ უნდა მოექცნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეიძლება საქმის განხილვას ჩამოშორდნენ. ზოგერთ შემთხვევაში სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა სახელები და მისამართები პრესას და მხარეებსაც კი არ უნდა გაუმხილოს, რათა ადგილი არ ჰქონდეს მათზე გავლენის მცდელობას.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია პრესას ანიჭებს სასამართლო პროცესზე დასწრებისა და ცნობების საჯარო გავრცელების გარანტიას. იგი კრძალავს პრესის პროცესიდან გამორიცხვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს განპირობებულია გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესით და ხდება იმ საშუალებებით, რომლებიც „მკაცრადაა მიმართული ამ ინტერესის“ განხორციელებისაკენ. მიუხედავად პრესის ამგვარი დაცვისა და ასევე სატელევიზიო გადაცემებიდან მიღებული შთაბეჭდილებებისა, აშშ-ში სისხლის სამართლის პროცესების უმრავლესობა საკმაოდ წყნარად, ადვოკატების მიერ მიცემული პრესკონფერენციის, საქმის განხილვის პირდაპირი ტრანსლაციის, ან ღამის სატელევიზიო შოუს გარეშე მიმდინარეობს. პროცესების უმრავლესობას, მხოლოდ ადგილობრივი პრესა აშუქებს. ბევრი სასამართლო დარბაზი ჯერ კიდევ არ არის აღჭურვილი ვიდეო აპარატურით. თუმცა, რამდენიმე შტატში ასეთი აპარატურა უკვე დამონტაჟდა და შესაბამისად სასამართლო სხდომების ტრანსლაციაც შესაძლებელი გახდება, ზოგან კი კამერები და აუდიო აპარატურა კვლავ იკრძალება და პროცესზე მხოლოდ ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები დაიშვებიან. ზოგიერთ შტატში პროფესიული ქცევის წესები ადვოკატებსაც უკრძალავს სხდომის მიმდინარეობის დეტალების შესახებ კომენტარის გაკეთებას. ეს აკრძალვა უზენაესი სასამართლოს მიერ კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან შესაბამისად იქნა ცნობილი.<sup>35</sup>

---

<sup>35</sup> იხ. რედ. ნაჭყებია გ., ავტორთა ჯგუფი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, გამომც. „ივერიონი“, თბ. 2013, გვ. 87-95



## ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა ინგლისში

### 3.2.1 ნაფიც მსაჯულთა შერჩევა

ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა თორმეტია. ნაფიცი მსაჯული შეიძლება იყოს საარჩევნო სიაში შეტანილი ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე სპეციფიკური მიზეზის გამო არ გამოირიცხება. იგი უნდა იყოს 18-დან 60-მდე ასაკის პირი, 13 წლის შემდეგ მინიმუმ 5 წლით უნდა ცხოვრობდეს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე. ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც მსჯავრი დაედო დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა, ასევე პირი, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში იხდის იხდის პირობით მსჯავრს ან იმყოფება თავდებობის ქვეშ.

ნაფიცი მსაჯული ვერ იქნება მოსამართლე და ყველა ის პირი, რომელიც თავისი ფუნქციით უკავშირდება მათმსაჯულების განხორციელებას. ასევე სასულიერო პირები და სულიერად დაავადებული პირები. აგრეთვე ისეთი კატეგორიის პირები, როგორებიც არიან: პარლამენტის წევრები, ექიმები, მედდები, ვეტერინარები, ავთიაქარები, ან ყველა ვინც შეიარაღებულ ძალებში მსახურობს.<sup>36</sup>

ინგლისში სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებები სამ ჯგუფად იყოფა: ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომელიც განიხილება მხოლოდ მაგისტრატების სასამართლოში; განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომელსაც განიხილავს ინგლისისა და უელსის სასამართლოს ყველაზე დაბალი რგოლი; „ორმხრივად განსჯადი“ დანაშაულები, რომლებსაც განიხილავს მაგისტრატების, ასევე გვირგვინის სასამართლო და როგორც ბრალდებულს, ასევე მაგისტრატს შეუძლია არჩევანი გვირგვინის სასამართლოზე გააკეთოს. თუ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და პროცესი გაგრძელდება, მაშინ საქმეს განიხილავენ ნაფიცი მსაჯულები.<sup>37</sup>

შერჩეულ კანდიდატს ეგზავნება დანიშნული დღისთვის გვირგვინის სასამართლოში გამოცხადების უწყება. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ, შერჩეული პირები ქმნიან ჯგუფს, რომლიდანაც ინდივიდუალურ საქმეზე შეირჩევა

<sup>36</sup> იქვე, გვ. 64

<sup>37</sup> იხ. <http://www.msajuli.ge/index.php?m=798> (ნანახია 19.05.2019წ)

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა. 12 ნაფიცი მსაჯული ამ ჯგუფიდან ღია სასამართლოში გამართული წილისყრის საფუძველზე გამოვლინდება. მას შემდეგ რაც მხარეებს მიეცემათ აცილების დაყენების შესაძლებლობა. აღნიშნულის შემდეგ ნაფიცმსაჯულები დებენ ფიცს და იწყება საქმის განხილვა. თუ მოსალოდნელია სასამართლო პროცესის 10 დღეზე მეტხანს გაგრძელება, პერსპექტიულ ნაფიც მსაჯულებს უსვამენ შემდეგ კითხვებს: ხომ არ შეუქმნის ეს მათ პრობლემებს? სასამართლოს მოხელეს ვისაც მსაჯულთა გამოძახება ევალება, შეუძლია დისკრეციულ ნიადაგზე ნაფიცი მსაჯული გაათავისუფლოს ან მოვალეობის შესრულება გადაუვადოს სამუშაო ვალდებულებების, ბავშვის მზრუნველობის ან წინასწარ აღებული შვებულების გამო. მიუხედავად ამისა, მიზეზი არსებითი ხასიათისა უნდა იყოს, ვინაიდან, როგორც წესი, სამუშაოს გამო მოვალეობისგან გაათავისუფლება არ ხდება, თუნდაც პირი თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელიც რომ იყოს. საქმის დაწყების განხილვის შემდეგ მოსამართლეს შეუძლია ნაფიცი მსაჯული დაკითხოს დარღვევათა საკმაოდ ფართო სპექტრის გამო, რომელთა შორისაა: არასერიოზული ქმედება, ალკოჰოლი, იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც მსაჯულს არ უნდა გააჩნდეს, მიკერძოების გამოვლენა. მოსამართლეს ასევე შეუძლია დაითხოვოს მსაჯული ავადმყოფობის ან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის გამო.<sup>38</sup>

### 3.2.2 ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეების განხილვის ვადები

სხვადასხვაგვარი სირთულის საქმეების განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში კვირეები და თვეებიც კი მიმდინარეობს. შედარებით მარტივ საქმეებს 2-4 დღე სჭირდება, კიდევ უფრო მარტივ საქმეებს კი - 11 საათი. იმისთვის, რომ არ მოხდეს ნაფიც მსაჯულებზე ზეწოლა, მათი ვინაობა, ბინის მისამართი და პროფესია გასაიდუმლოებულია. ინგლისში, სასამართლოში გამოცხადებულ კანდიდატებს მხოლოდ სახელით, გვარის გარეშე აცხადებენ. ამასთან, შესაძლებელია, სასამართლოზე ნაფიცი მსაჯულები ისხდნენ ნიღბებში, ან გამოეწყონ ფართო, გრძელ მოსასხამში, რომელიც მთლიანად ფარავს მათ გარეგნობას.

<sup>38</sup> იხ. რედ. ნაჭყებია გ., ავტორთა ჯგუფი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, გამომც. „ივერიონი“, თბ. 2013, გვ. 65-66

ინგლისში, მეოცე საუკუნის შუა რიცხვებამდე დაცვას ჰქონდა 20-მდე კანდიდატის არამოტივირებულად აცილების უფლება. დროთა განმავლობაში ეს რიცხვი საკმაოდ შემცირდა ჯერ შვიდამდე, 1988 წელს კი დაცვის მხარეს ეს უფლება საერთოდ ჩამოერთვა იმ მოტივით, რომ ეს წესი პროცესის უფრო გაჭიანურებას უწყობდა ხელს, ვიდრე მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელებას. კანდიდატის აცილების უფლება მხოლოდ ბრალდებას დარჩა.<sup>39</sup>

### 3.2.3 მტკიცებულება და ნაფიც მსაჯულთათვის მიცემული ინსტრუქციები

ინგლისში მოქმედებს მრავალი წესი, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ მტკიცებულებათა სახეებს ზღუდავს და მოსამართლეს ავალებს ავალებს მათთვის მითითებების მიცემას სათათბირო ოთახში გასვლის წინ. ეს წესები ხშირად იმ ვარაუდს ეფუძნება, რომ ნაფიც მსაჯულთა კომპეტენცია შეზღუდულია და შესაძლებელია იგი გარკვეული სახის მტკიცებულებათა გავლენის ქვეშ უსამართლოდ მოქცევას, მაგ: სავალდებულოა მსაჯულთა გაფრთხილება, იმის შესახებ, რომ რამდენიმე კეთილსინდისიერი ამომცნობი მოწმე შეიძლება შეცდომაში შევიდეს.

სპეციფიკური მტკიცებულება , რომელიც ბოლო წლებში განსაკუთრებულ კამათს იწვევს , ბრალდებულის ნასამართლეობაა. იგი მსაჯულთა წინაშე არ დაიშვება გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმა, რომელიც კრიტიკის საგნად იქცა არის ბრალდებულის დუმილის უფლება.

1994 წლის სისხლისსამართლებრივი იუსტიციისა და ზოგადი წესრიგის შესახებ კანონით შემოღებულ მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად ნაფიც მსაჯულებს ამჟამად შეიძლება ეცნობოთ ბრალდებულის მიერ საპოლიციო გამოძიების ეტაპზე გამოყენებული დუმილის უფლება - ასევე მათ შეიძლება მიეთითოთ, რომ მათ შეუძლიათ, პროცესზე განსასჯელის მიერ ჩვენების მიუცემლობიდან დასკვნის გაკეთება. ეს ცვლილება დასაბუთებული უნდა იყოს იმით, რომ პროფესიონალი დამნაშავეები დუმილის უფლებას ხშირად გამამტყუნებელი განაჩენებისგან თავის დასაცავად იყენებენ. თუმცა საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე

<sup>39</sup> იხ. <http://www.msajuli.ge/index.php?m=798> (ნანახია 19.05,2019წ)

მნიშვნელოვანი დისკრეციით სარგებლობს, ნაფიც მსაჯულებზე მიცემული ინსტრუქციები ხშირად მთლიანად ან ნაწილობრივ სამოსამართლო სწავლებათა კოლეგიის მიერ მომზადებული სანიმუშო ინსტრუქციების გამოყენება -გასაჩივრების ალბათობას ამცირებს. მოსამართლის შემაჯამებელი მიმართვა მსაჯულებისადმი მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა: მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულის გადასაწყვეტი საკითხები, მტკიცების ტვირთი, ინკრიმირებული ქმედების განსაზღვრება და ფაქტები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს.<sup>40</sup>

### 3.2.4 ფიცის დადება

ფიცის დადებამდე ყველა პროცედურაგავლილი პირი ისევ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატად რჩება. ფიცის დადების რიტუალი გათვალისწინებულია კანონმდებლობით. სხდომის თავმჯდომარე კითხულობს ფიცის ტექსტს და სათითაო წევრი ხმამაღლა ამბობს - "ვფიცავ". ფიცის მიღების შესახებ ჩანაწერი კეთდება სხდომის ოქმში, ფიცის მიღებისთანავე. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს კანონით გათვალისწინებულ უფლებებს და მოვალეობებს, აკრძალვებს და პასუხისმგებლობის საკითხებს.

### 3.2.5 რა ეკრძალებათ ნაფიც მსაჯულებს

სისხლის სამართლის საქმის მოსმენის დროს ნაფიც მსაჯულებს არ შეუძლიათ გავიდნენ დარბაზიდან. ვერდიქტის გამოტანისას არ აქვთ უფლება, წინასწარ გამოთქვან საკუთარი აზრი განსახილველ საქმეზე. არ აქვთ უფლება, განსახილველი სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ ესაუბრონ პირებს, რომლებიც არ შედიან სასამართლოს შემადგენლობაში. ასევე არ აქვთ უფლება, სასამართლო სხდომის გარეთ შეაგროვონ ცნობები განსახილველ საქმეზე, დაარღვიონ ნაფიც მსაჯულთა თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოება. ინგლისური სისტემა ნაფიც მსაჯულებს ავალდებულებს, წარდგენილ ბრალდებაზე თქვან "დიახ" ან "არა" იმ სახითვე, როგორც იგი საბრალდებო აქტშია გადმოცემული და ნაფიც მსაჯულებს არა აქვთ უფლება, განიხილონ საკითხი

---

<sup>40</sup> იხ. რედ. ნაჭყებია გ., ავტორთა ჯგუფი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, გამომც. „ივერიონი“, თბ. 2013, გვ. 68-69

განსასჯელის ნაკლები ბრალეულობის თაობაზე, თუკი ეს გამოვლინდება სასამართლოში.

### 3.2.6 ნაფიც მსაჯულთა თათბირი

ინგლისში, დადგენილია ნაფიც მსაჯულთა თათბირის საერთო მოთხოვნები. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის თათბირს ესწრებიან მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები. სხვა პირის დასწრებაც კი ვერდიქტის გაუქმების საფუძველია. თათბირს ხელმძღვანელობს ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარე, რომელიც კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ითვლის ხმებს, შედეგები შეაქვს "ვერდიქტის ფორმაში" და "კითხვათა ფურცლებში" - პასუხის სახით. ხელს აწერს მას და გადასცემს თავმჯდომარეს. მოსამართლის მიერ ვერდიქტის მოწონების შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა ჟიურის თავმჯდომარე აქვეყნებს ვერდიქტს სხდომათა დარბაზში. თათბირისა და ვერდიქტის გამოტანისას ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, გამოიყენონ სასამართლო სხდომაზე გაკეთებული საკუთარი ჩანაწერები, აგრეთვე ნორმატიული, საცნობარო, სამეცნიერო-პრაქტიკული და სხვა საჭირო იურიდიული ლიტერატურა.

### 3.2.7 ვერდიქტი

ინგლისში არსებობს ვერდიქტის ოთხი ფორმა. გენერალური ვერდიქტი, როდესაც ნაფიცი მსაჯულები ერთმნიშვნელოვნად წყვეტენ საკითხს განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ; ვერდიქტი, რომელიც წარდგენილი ბრალდების ერთ ნაწილში გამამტყუნებელია, ხოლო სხვა ნაწილში – გამამართლებელი; ვერდიქტი, რომელიც განსასჯელს ცნობს დამნაშავედ არა წარდგენილ, არამედ სხვა, უფრო მსუბუქ დანაშაულში; სპეციალური ვერდიქტი, როცა ნაფიცი მსაჯულები დადგენილად მიიჩნევენ გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძველად უდევს ბრალდებას, მაგრამ ღიად ტოვებენ საკითხს განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ. დღეისათვის ასეთი ვერდიქტები გამოიყენება შეურაცხადი პირების მიმართ. გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში, როგორც წესი, განსასჯელი პატიმრობიდან დაუყოვნებლივ თავისუფლდება. ინგლისში ვერდიქტის კლასიკური სახეებია - გამამართლებელი და გამამტყუნებელი. გამოცხადებული ვერდიქტი დაუყოვნებლივ შედის სხდომის ოქმში. ჩანაწერი იქვე წაეკითხებათ ნაფიც

მსაჯულებს, რომლებიც ხელის მოწერით ადასტურებენ ჩანაწერის სისწორეს. ხელის მოწერის დადასტურების შემდეგ, ნაფიცი მსაჯულები თავისუფლდებიან პროცესიდან. ინგლისში, თუკი მსაჯულები ორი სათის განმავლობაში ვერ მიიღებენ ერთსულოვან გამამატყუნებელ ვერდიქტს, საქმეზე ვერდიქტის გამოტანა ხდება ხმათა უმრავლესობით.

### 3.2.8 განაჩენის დადგენა, გასაჩივრება და გადასინჯვა

ინგლისში ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანის შემდეგ ტარდება ეგრეთ წოდებული "განაჩენისწინა" გამოძიება, რომელიც გულისხმობს მოსამართლის დავალებით, პრობაციის სამსახურის ან სოციალური მოსამსახურის მიერ განსასჯელის მიმართ ყველა საჭირო მონაცემის შეკრებას. შედეგების მიხედვით დგება სათანადო დოსიე - "განაჩენისწინა მოხსენება". თუ მოსამართლე საჭიროდ მიიჩნევს, ნიშნავს სამედიცინო გამოძიებას. განაჩენისწინა" გამოძიების დამთავრების შემდეგ, ტარდება სასამართლო სხდომა მხარეთა მონაწილეობით, სადაც განიხილება ეს დოსიე და მხარეთა მიერ შეგროვილი მასალები. შემდეგ იმართება კამათი. მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის ზომის განსაზღვრის შესახებ.

გასაჩივრება - ინგლისური ტერმინოლოგიით „აპელაცია“ იყოფა ორ ნაწილად - აპელაცია ფაქტების საკითხებზე და აპელაცია სამართლის საკითხზე. მეოცე საუკუნემდე ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. თუმცა, შემდეგ, ცვალებადი იურიდიული რეალობისთვის იგი შეუსაბამო გახდა. 1907-1968 და 1995 წლებში მიღებული კანონების თანახმად, ვერდიქტის გასაჩივრება ხდება სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის სამეთა განყოფილებაში. კანონი ცალ-ცალკე აწესებს დაცვის მხარის აპელაციას და ბრალდების მხარის აპელაციას, რომლებიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

სააპელაციო სასამართლო ხელახლა იხილავს საქმეს სამი პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით. გასაჩივრების უნივერსალური საფუძველია არსებითი შეცდომა, რომელმაც ზიანი მიაყენა განსასჯელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესს.<sup>41</sup>

<sup>41</sup> იხ. <http://www.msajuli.ge/index.php?m=798> (ნანახია 19.05,2019წ)

### 3.2.9 კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი „ვერდიქტები“ და „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაცია“

საუკუნეების განმავლობაში ინგლისელი ნაფიცი მსაჯულები ცნობილნი არიან ბრალის დამადასტურებელი მტკიცებუებებით და მხარეებისკენ მიმართულ სასამართლო მითითებათა ფონზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანით. მიუხედავად იმისა, რომ განაჩენი არაპოპულარულია ბრალდებულთა შორის, თუმცა იგი იურიდიულად გამართლებულად ითვლება.

ერთმანეთისგან განასხვავებენ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაციის“ სხვადასხვა სახეებს. კონკრეტული კანონის გამოყენებაზე მსაჯულთა უარი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მხარდაჭერა იმ პირების მიმართ, ვინც საჯარო ხელისუფლებას დაუპირისპირდება. ზოგიერთ შემთხვევაში ნაფიცმა მსაჯულებმა შეიძლება უარი თქვან მათი აზრით, ცუდი კანონის გამოყენებაზე. ზოგადად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს და მაღალ შეფასებას იმსახურებს იმის გამო, რომ იგი ახორციელებს საუკუნოვან უფლებას, ვერდიქტი გამოიტანოს საკუთარი სინდისის საფუძველზე როგორც კანონის ტექსტისა და ზოგჯერ ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდაც კი საზოგადოების წარმომადგენელმა.<sup>42</sup>

### 3.2.10 ნაფიცი მსაჯულები და პროცესის საჯარო გაშუქება

შეერთებულ შტატებში პრესის თავისუფლება უშეზღვევლად უზრუნველყოფს პროცესის წინ ან მისი მიმდინარეობისას. ინგლისური სამართალი მედიას შეზღუდვებს უწესებს ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებაზე გავლენის თავიდან აცილებისა და ბრალდებულის დაცვის მიზნით. მედიას საქმის გაშუქება პროცესის დამთავრების შემდეგაც კი შეიძლება აკრძალოს მომავალ პროცესზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით. 1981 წლის „სასამართლოს უპატივეცმულობის შესახებ“ კანონის თანახმად, მედიას ეკრძალება და ზოგჯერ სისხლისსამართლებრივი წესითაც კი იდევნება საქმის განხილვისას ზეგავლენის მომხდენი მასალების გამოქვეყნება.

<sup>42</sup> იხ. რედ. ნაჭყებია გ., ავტორთა ჯგუფი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, გამომც. „ივერიონი“, თბ. 2013, გვ. 70-71

სასამართლოს უფლება აქვს, ასევე საქმის განხილვა შეაჩეროს იმ საფუძველით, რომ ამ ვითარებაში სამართლიანი სასამართლო განხილვა შეუძლებელია.<sup>43</sup>

### დასკვნა

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოდელს ჯერ კიდევ ბევრი დახვეწა სჭირდება, ვინაიდან მრავალი პრობლემატური საკითხის წინაშე დგას. მაგალითად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, ის რომ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურა ხანგრძლივი პროცესია, რა დროსაც ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ვერ ესწრება კანონით განსაზღვრულ 9-თვიან პატიმრობის ვადაში, რის გამოც სასამართლო იძულებულია ბრალდებული დატოვოს აღკვეთის ღონიძიების გარეშე ან პატიმრობა შეუცვალოს სხვა უფრო მუსბუქი აღკვეთის ღონიძიების სახით. ეს პრობლემა გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ინფორმირებული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ და შესაბამისად, იმ დოზით ჯერ კიდევ ვერ გამოხატავენ მზაობას ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისთვის, რომ სწრაფ და ეფექტურ მართმსაჯულებას შეუწყონ ხელი.

ჩემი აზრით, კიდევ ერთი ფაქტორი, რაც აჭიანურებს მსაჯულთა შერჩევის პროცედურას, ეს არის დაუსაბუთებელი აცილებები, რომელიც დაცვის მხარეს აძლევს საშუალებას ხელი შეუშალოს პროცესის მიმდინარეობას, რის შედეგადაც ასევე შეიძლება გავიდეს პატიმრობის 9 თვიანი ვადა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოდელის განხილვის შემდეგ ვხედავთ, რომ ინგლისში საერთოდ არ აქვთ დაუსაბუთებელი აცილება, რადგან კანონმდებელმა ჩათვალა, რომ აღნიშნული ხელს უწყობს პროცესის გაჭიანურებას.

მიმაჩნია, რომ საქართველოს, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოდელის მთავარი პრობლემა, ეს არის ნულიფიკაცია, როდესაც ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ გაამართლონ ბრალდებული, მიუხედავად

---

<sup>43</sup> იქვე, გვ. 68



იმისა, რომ სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დგინდება პირის მიერ დანაშაულის ჩადენა.

ვფიქრობ, იმ ცვლილებების მიზანი, რომლებიც განიცადა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართულმა მოდელმა 2010 წლიდან დღემდე, არის ის, რომ, უფრო მეტად მიმზიდველი, საინტერესო და დახვეწილი გახდეს ქართველი საზოგადოებისათვის, რათა უფრო მეტად აქტიურად გამოხატონ მზაობა ნაფიც მსაჯულის მოვალეობის შესრულებისათვის. თუ საზოგადოებაში გაჩნდება იმის ინტერესი, რომ გახდნენ პროცესის მონაწილენი და ნაფიც მსაჯულად მონაწილეობა არა მხოლოდ მოქალაქეობრივი ვალდებულება, არამედ მათი დიდი სურვილიც იყოს, მაშინ ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარებას და ის პრობლემატური საკითხები, რომელიც გამოვკვეთეთ, დროთა განმავლობაში, ეტაპობრივად გადაიჭრება.

## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

### ქართულ ენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

- 1) დადემქელიანი გ., ფაფიაშვილი ლ. და სხვ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე გ., თბ. 2015
- 2) რედ. მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, თბ. 2012
- 3) რედ. ნაჭყებია გ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, გამომც. „ივერიონი“, თბ. 2013
- 4) ჯიქია მ., ნადირაშვილი თ., ხურციძე დ., გელაშვილი მ., მალრაძე თ., ქურასბედიანი თ., ვაშალომიძე რ., კვიციანი ლ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი (თავისებურებანი და პრობლემები), გამომც: „უნივერსალი“, თბ. 2017

### ნორმატიული მასალა

- 1) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2019

### ინტერნეტ მასალა

- 1) [http://www.library.court.ge/upload/nafic\\_msajulTa\\_sasamarTlo.pdf](http://www.library.court.ge/upload/nafic_msajulTa_sasamarTlo.pdf) , (ნანახია 20.04.2019 წ.)
- 2) <http://www.msajuli.ge/index.php?m=799> (ნანახია 15.05.2019 წ)
- 3) <http://www.msajuli.ge/index.php?m=789> (ნანახია 18.05.2019წ)
- 4) <http://www.msajuli.ge/index.php?m=798> (ნანახია 19.05,2019წ)

### საზღვარგარეთის სასამართლოს პრაქტიკა

- 1) Duncan v. Louisiana, 391 U.S. 145 (1968)
- 2) Ludwig v. Massachusetts, 427 U.S. 618 (1976)